ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს

# ქალი

1999

7-8



თეა გვასალია: როცა ქუდს უკუღმა იხურავ, საქმე წაღმა მიდის



ბლიც-ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან



მარკესის ახალი რომანი მალე ითარგმნება





ჟურნალი გამოიცა ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და პროგრამის „რეპროდუქტოლოგიის განვითარება საქართველოში" ნაწილობრივი დახმარებით.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ნანა ოზოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ნინო ჯავახიშვილი

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე – თეა გვასალია; მეოთხეზე – ზურაბ დათუაშვილის ფოტოეტიუდი

დამფუძნებელი – ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო".

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". მ. კოსტავას ქ. № 14.

"Sakartvelos Kali"
a Magazine for Woman of the Republic of Georgia
Georgian Woman

# იეღოველები – ცრუ მოძღვრები!

წმიდა მამები წერენ: ბოლო ჟამს გაძნელდება ჭეშმარიტების გზით სიარული. ადამიანებს მრავალი საცდური დააბრკოლებს და მრავალი ცრუ მოძღვრება გაჩნდება – „მაშინ ცდუნდებიან ბევრნი... მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი აღდგება და ბევრს შეაცდენს" (მათე – 24; – 10,11). მაცხოვარი არაერთგზის გვიმეორებს: „გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ;" (მარკოზი – 13; – 5, მათე – 24; –4). მოციქული პავლე კი, ქრისტიანების სასტიკი მდევნელი, ჭეშმარიტების შეცნობის შემდეგ, ქრისტეს უპირველესი მიმდევარი და მისთვის წამებული, ყველას მოძღვრავდა: „არავინ გაცდუნოთ ფუჭი სიტყვებით, ვინაიდან ამისათვის ღვთის რისხვა ეწევა ურჩ შვილებს." (ეფესელთა მიმართ – 5; –6).

სამყაროს აღსასრულზე, რომლის შესახებ დღეს ამდენს ლაპარაკობენ, მაცხოვარი ბრძანებს: „გაფრთხილდით, რომ არ შეცდეთ, ვინაიდან ბევრი მოვა ჩემი სახელით და იტყვის: მე ვარო და ის ჟამი მოახლოებულიაო. თქვენ ნუ გაჰყვებით მათ". ცრუ წინასწარმეტყველთა მიმართ კი გვეუბნება: „ერიდეთ ცრუ წინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსით მოდიან თქვენთან, შინაგანად კი მტაცებელი მგლები არიან." (მათე – 7; – 15).

...დღეს მრავალი „მტაცებელი მგელი" ნადირობს ადამიანის სულზე, რომელთაგან ამოვარჩიე ერთი – იეღოველები ანუ იეღოვას მოწმეები. ისინი ურცხვად ცრუობენ, როდესაც ამბობენ, თითქოს უძველესი და ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ. სინამდვილეში, მათი ისტორია 130 წელს ითვლის; – 1872 წელს ადვენტისტების სექტას გამოეყო ერთი პატარა ჯგუფი იეღოველთა სახელწოდებით, დღეისათვის კი, მთელ პლანეტაზე, მილიონობით მიმდევარი გაიჩინეს; სამწუხაროდ, ახდა სახარების წინასწარმეტყველება „მრავალნი ცდუნდებიან". (!) იეღოველთა მაკოორდინებელი საბჭო ამერიკაშია, ბრუკლინში – ნიუ-იორკის გარეუბანში. საბჭოს წევრები მილიონობით სხვადასხვა დასახელების ლიტერატურას გამოსცემენ და ავრცელებენ მთელ მსოფლიოში, აქვთ საკუთარი რადიო-სადგური, ტელე-არხი და, რაც მთავარია, დიდი ფინანსური შესაძლებლობა, – ისინი უსასყიდლოდ არიგებენ ლამაზად გაფორმებულ წიგნებს და სექტის წევრებს ჰუმანიტარულ დახმარებას სთავაზობენ.

იეღოველებმა სექტის სახელწოდება აწარმოეს ძველი აღთქმის ებრაული ღმერთის სახელიდან. ებრაელი სამყაროს შემოქმედ უფალს, სახიერ ძალას „იეჰოვას" ეძახის, ისევე, როგორც ქართველი – „ღმერთს", რუსი – „გოსპოდს", ინგლისელი – „გოდს", მუსულმანი – „ალაჰს" და ა.შ.

იეღოვას მოწმეებმა სულ აურდაურიეს ბიბლიური მცნებები და საკუთარი წარმოდგენების მიხედვით აყალბებენ ჭეშმარიტებას. ისინი ლაპარაკობენ ძალიან ბევრს და თავიანთი შეხედულებების დასამტკიცებლად თვით იესო ქრისტესაც კი იმოწმებენ, – 6 მილიონიანი ტირაჟით გამოსულ წიგნში „მარადიულ სიცოცხლემდე მიმყვანი შემეცნება", უტიფრად წერენ, თითქოს მარკოზის სახარების მე-12 თავის 28-ე და 29-ე მუხლებში იესო ამბობდეს: „იეჰოვა, ჩვენი ღმერთი, არის ერთი იეჰოვა. (გვ. 31). სინამდვილეში, აი, რა წერია მითითებულ ადგილზე: „ერთი მწიგნობართაგანი, რომელიც ყურს უგდებდა მათ კამათს და იცოდა, რომ კარგი პასუხი გასცა მათ, მიუახლოვდა და ჰკითხა: რომელია უპირველესი მცნება? იესომ მიუგო მას: „პირველი არის, ისმინე, ისრაელო: უფალი, ღმერთი ჩვენი, უფალი ერთია". (!)

უფალი ერთია და ქრისტიანები ვეთაყვანებით ერთ ღმერთს – სამებას – მამას, ძეს და სულიწმიდას, (სამების არსი განვიხილეთ ჩვენი ჟურნალის წინა ნომრებში); ამ ფანატიკოსებს კი ჰგონიათ, თითქოს სამებაში სამ ღმერთს ვეთაყვანებოდეთ, – აი, რა კატეგორიულობით წერენ იმავე წიგნის 31-ე გვერდზე: „ვინც აღიარებს ბიბლიას, როგორც ღმერთის სიტყვას, არ უნდა ეთაყვანებოდეს სამებას, რომელიც შეიცავს სამ პიროვნებას, ანუ სამ ღმერთს ერთში. ჭეშმარიტი ღმერთი არის ერთი პიროვნება, ცალკე მდგომი იესო ქრისტესაგან"... ახლა გადავშალოთ სახარება: „იესომ უთხრა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე, მამასთან ვერავინ მივა თუ არა ჩემით. მე რომ მიცნობდეთ, მამაჩემსაც გეცნობებოდათ. ამიერიდან იცნობთ მას და გიხილავთ იგი". ფილიპემ უთხრა: „უფალო, გვაჩვენე მამა და საკმარისი იქნება ჩვენთვის". იესომ უთხრა მას: „რა ხანია, თქვენთან ვარ და ვერ მიცნობ, ფილიპე? ვინც მე მიხილა, მამა იხილა. როგორღა ამბობ, გვაჩვენე მამაო? განა არ გწამს, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემში"... (იოანე – 14; – 6,7,8,9,10,11). – ყველაფერი თვალნათელია, – კომენტარისაგან თავს ვიკავებ.

იეღოველები თვლიან, რომ ადამიანის სული კვდება სხეულთან ერთად და საყოველთაო აღდგომის შემდეგ, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისას, აღდგებიან მხოლოდ იეღოვას მოწმეები და იცხოვრებენ ახალ სამოთხეში. აი, რას წერენ 99 ენაზე თარგმნილ ორმოც მილიონ ასი ათას ეგზემპლარად გამოსულ წიგნში „ჩემი წიგნი ბიბლიური მოთხრობებით", – „რაც შეიძლება ბევრ ადამიანს მოუყევით ჩვენს შესანიშნავ იეჰოვა ღმერთზე და მის ძეზე, იესო ქრისტეზე. თუ ამას გააკეთებთ, შესაძლებლობა გვექნება ვიცხოვროთ მარადიულად ღმერთის ახალ სამოთხეში,, დედამიწაზე." (გვ. 117). თუ როგორ უყურებიან ისინი იესო ქრისტეზე, ამას „ჩემი წიგნი..."-ს დასაწყისშივე ვნახავთ: „ღმერთის შექმნილი პირველი ანგელოზი ძალიან განსაკუთრებული იყო. ის იყო ღმერთის პირველი ძე და მამასთან ერთად მუშაობდა." (გვ. 1).

– სამების უარსაყოფად და იესო ქრისტეს ღვთაებრიობის წასაშლელად ახლა ანგელოზობა მიაწერეს მაცხოვარს!

მათ თითქმის ნაწილობრივ ესმით, რომ ქრისტეს გარეშე ცხონება შეუძლებელია, მაგრამ ამავე დროს, შეურაცხყოფას აყენებენ ქრისტიანებს. აი, რას წერენ „მარადიულ სიცოცხლემდე მიმყვან შემეცნებაში": „მრავალმა დააზიანა გასაღები – იესო ქრისტე, რომელიც ხსნის ჩვენს გაგებას. ზოგიერთმა რელიგიამ მოიცილა ეს გასაღები ანუ საერთოდ უგულებელყო იგი. სხვებმა დაამახინჯეს იესოს როლი, რადგან ეთაყვანებიან მას, როგორც ყოვლისშემძლე ღმერთს... იესო ქრისტეს შესახებ ჩვენი შემეცნება თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი დამახინჯებისაგან, მაგრამ რატომ თვლიან იესოს მიმდევრები მას ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად ღმერთის განზრახვებში?" (გვ. 32-33).

თუ როგორი „თავისუფალია" იეღოველთა შემეცნება და როგორ „უხინჯოდ" ასწავლიან იესოს შესახებ, ერთი, ყველასათვის კარგად ცნობილი ფაქტით დავამტკიცებ. – ზემოთ დასახელებულ წიგნში წერენ: „პონტოელმა პილატემ ქრისტეს მიუსაჯა სიკვდილი ძელზე გაკვრით, ის გააკრეს ძელზე". (გვ. 66). ოთხთავში კი არსად არაა ნახსენები ძელი, – ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად ოთხივე მახარობელს დავიმოწმებ: „გახადეს მოსასხამი, ჩააცვეს თავისივე სამოსი და წაიყვანეს, რომ ჯვარს ეცვათ". (მათე – 27; – 31); „მესამე საათი იყო, როცა ჯვარს აცვეს იგი". (მარკოზი – 15, – 25); „როცა იმ ადგილას მივიდნენ, რომელსაც თხემი ჰქვია, იქ ჯვარს აცვეს". (ლუკა – 23; – 33); „წაიღო თავისი ჯვარი და გავიდა ადგილზე, რომელსაც ეწოდებოდა თხემი, ებრაულად კი, გოლგოთა, იგი ჯვარს აცვეს იქ..." (იოანე – 19; – 17, 18).

მილიონობით გამოცემული იეღოველთა მრავალგვარი ლიტერატურა თავიდან ბოლომდე აბსურდული მტკიცებულებებია, – რასაკვირველია, ყოველ სიტყვაზე ვერ გამოვეკიდებით, მაგრამ მათი თვითმარქვიობის დასამტკიცებლად კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან, – იმავე წიგნის 105-ე გვერდზე წერენ: „ღვთის დახმარებითა და კურთხევით იეჰოვას მილიონობით მოწმე მილიარდობით საათს უძღვნის სამქადაგებლო და მოწაფეების მომზადების საქმიანობას. (მათე – 28; – 19, 20)". სახარების მითითებულ ადგილზე კი, აი, რას ვკითხულობთ: „ამიტომ წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი **მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით**, ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. აჰა, მე თქვენთანა ვარ ყოველდღე წუთისოფლის აღსასრულამდე. ამინ". კომენტარისაგან კიდევ თავს ვიკავებ, მკითხველისათვის ყველაფერი ნათელია, მაგრამ ერთი, ჩემთვის ყოვლად გაუგებარი წინადადება კიდევ უნდა ამოვწერო იმავე წიგნიდან: „იეჰოვას მო[illegible] აქვთ, რომ თუ არ გააცხადებენ კეთილ ცნობას, მკვლელობაში იქნებიან დამნაშავენი, მაგრამ ისინი ხარობენ, რომ ყოველ წელს ათასობით ადამიანი მადლიერებით ეხმაურება სამეფოს ცნობას და ირჩევს **ჭეშმარიტ ქრისტიანად**, ე. ი. იეჰოვას მოწმედ ყოფნას". (გვ. 105-106). წინადადება სინტაქსურ-მორფოლოგიურად ისეა აგებული, თითქოს ყველაფერი გასაგები უნდა იყოს, მაგრამ მე მაინც ვერასოდეს გავიგებ, რატომ უწოდებენ იეღოველები თავიანთ თავს „ჭეშმარიტ ქრისტიანებს?" – ხალხი ძელსა და ჯვარს ერთმანეთისაგან ვერ არჩევს და რომელ ქრისტიანობაზეა ლაპარაკი!!!

რასაკვირველია, ყოველი ქრისტიანისათვის მიუღებელია იეღოველთა ბოდვა, მაგრამ გადავდე თავი და წავიკითხე მათი რამდენიმე წიგნი, რათა უკეთ გამეგო, რა უნდოდა ამ ხალხს; პირველი, რასაც მივხვდი არის ის, რომ სავსებით შესაძლებელია ადამიანის დასჯის ერთ-ერთ სახედ გამოყენებული იქნეს იეღოველთა ლიტერატურის კითხვა; მერე გავიგე ისიც, რომ იეღოველები უარყოფენ სამების არსს და სულის უკვდავებას. ამის შემდეგ პატარა წერილი გავგზავნე ბრუკლინში, – იეღოველთა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს ვთხოვდი განემარტათ, თუ სული კვდება, ფერისცვალებისას, თაბორის მთაზე, როგორ გამოეცხადა მაცხოვარს საუკუნეების წინ გარდაცვლილი მოსე და ელია წინასწარმეტყველი; ვთხოვე აგრეთვე, განემარტათ, რას ნიშნავდა იესოს სიტყვები იოანეს სახარებიდან: „ვინც მე მიხილა, მამა იხილა... მერწმუნეთ, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემში". წერილის გაგზავნიდან უკვე წელიწადი იწურება, პასუხი კი იგვიანებს, – ისინი დუმილს ირჩევენ, რადგან ვერანაირ პასუხს ვერ გამცემენ...

ახლა ვეკითხები ქართველ იეღოველებს:

რატომ იბნელებთ სულს, მონური მორჩილებით რატომ უსმენთ ოკეანისგადაღმელ „კეთილისმყოფელებს", ნუთუ საკუთარი განსჯის უნარი არ გაქვთ?! თქვენი წინაპრები ხომ საფლავებში გადაბრუნდებიან, მათი გულით ნატარები ხატები რომ უარყავით, მათი სისხლით მორწყული მიწა რომ არად გიღირთ...

განა შეიძლება ადამიანმა მამულის მსახურებას თავი აარიდოს!

განა შეიძლება – დედა-ეკლესია უცხოელთა ფანატიზმს ანაცვალოს?!

**ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი**

რჩევა



# სანთელი

საოცარი დამთხვევაა, ჩვენ ამ რუბრიკას გარდაცვლილთა მოსაგონარ წერილებს წარვუმძღვარებთ ხოლმე.

და აი, ჯანიკო გაბუნიას წიგნის „გახსენება" შავ ყდაზე ერთადერთი თეთრი სანთელი ხატია.

ჟურნალისტსა და პოეტს ჯანიკო გაბუნიას მიზნად დაუსახავს, გაგვაცნოს ქუთაისში სხვადასხვა დროს მოღვაწე ან გარდაცვლილი ექიმები და მოგვითხროს მათ მიერ განვლილ გზაზე.

„შევუდექი რა ჩემი იდეის შესრულებას, ვიცოდი, დღეს არსებული სიძნელეები უზომო გავლენას მოახდენდა შემოქმედებით პროცესზე, გამიჭირდებოდა, მაგრამ ჩემი დაუოკებელი სურვილი იყო, შემედგინა წიგნი და ამ წიგნს მიეღწია აქ წარმოდგენილი ექიმების ჭირისუფალთა, ახლობელთა, მეგობართა და დაინტერესებულ პირთა ოჯახებში, რათა იცოდნენ, რომ არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული. თუ მიზანს ნაწილობრივ მაინც მივაღწიე, ვმადლობ უფალს. ღმერთს ვთხოვ, მათ სულებს დაადგეს არდავიწყების ნათელი.

განზრახული მაქვს, ერთი ცალი წიგნი გადავცე პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძარს და ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტს მეუფე კალისტრატეს ვთხოვო, მისი ლოცვა-კურთხევით დამტკიცდეს წელიწადში ერთი დღე, რათა გადახდილი იქნას აღნიშნულ წიგნში მოხმობილ ექიმთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი", – წერს ავტორი წიგნის წინათქმაში.

ამაზე მეტი მადლი რაღა უნდა იყოს, ხსოვნის სანთელი დაუნთო ღვაწლმოსილ თანამოქალაქეებს!

ეს უაღრესად საჭირო წიგნია. საქართველოს სად ჰყავს დასაკარგავი შვილები, მით უფრო ამ წიგნში მოხმობილთა მსგავსი სახელოვანი შვილები.

მსგავს წიგნთა შექმნაზე, სხვა დარგების მესვეურებმაც უნდა იზრუნონ. ეს დარგის ერთგვარი ენციკლოპედიაა და დიდად საამაყო ქუთაისის ინტელიგენციისათვის.

21. 308
საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარ მეფე ნორვეგიაში

*საქართველოს წარსულითა და მისი ისტორიით არაერთი უცხოელი გამოჩენილი პიროვნება დაინტერესებულა. მათ შორის გახლდათ ნობელის პრემიის ლაურეატი, ნორვეგიელი მწერალი და დრამატურგი კნუტ ჰამსუნი (1859-1952).*

კნუტ ჰამსუნის მოღვაწეობას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ილიასეულმა „ივერიამ". 1893 წლის 14 ნოემბერს გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი, რომელიც ნორვეგიელი მწერლის მიერ უცხოეთის ჟურნალში დაბეჭდილ პუბლიკაციას შეეხებოდა. კნუტ ჰამსუნი მკითხველებს უამბობდა ნორვეგიის ლიტერატურის განვითარებაზე 1870 წლიდან და აღწერდა ნორვეგიას.

კნუტ ჰამსუნი თავის პუბლიკაციაში მიმოიხილავს ზოგიერთი გამოჩენილი ნორვეგიელი მწერლის თხზულებებს. მათ შორის ბირნსონის თხზულებას და ჰპირდებოდა იბსენის და კილანდის თხზულებების გარჩევას.

მაშ ასე, ქართული პრესის ფურცლებზე გამოჩნდა ცნობილი ნორვეგიელი მწერლის კნუტ ჰამსუნის სახელი.

და აი, 1904 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში" ნორვეგიელ მწერალზე ძალზე საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნდა. როგორც გაზეთი წერდა, ცნობილი ნორვეგიელი დრამატურგის კნუტ ჰამსუნის საყურადღებო წერილი „მოგზაურობა კავკასიაში" ერთ-ერთ უცხოეთის ჟურნალში დაიბეჭდა.



„როგორც მკითხველს ეხსომება, – წერდა გაზეთი, – ამ ერთის წლის წინათ ჰამსუნმა დასწერა ქართველთა წარსული ცხოვრებიდან საინტერესო ფსიქოლოგიური დრამა. როგორც ამ წერილებიდან სჩანს, მოგზაურობის დროს ავტორს საქართველო გაუცვნია".

სწორედ 1903 წელს დაწერა კნუტ ჰამსუნმა პიესა „თამარ მეფე". გაზეთი „ივერია" წერდა: „ნორვეგიის ცნობილ მწერალს კნუტ ჰამსუნს დაუწერია დრამა „თამარ მეფე", რომელიც ნორვეგიის ნაციონალურ თეატრს გადაეცა და მომავალ სეზონში წარმოდგენილი იქნება ქ. ქრისტინიაში". (ქრისტინია დღევანდელი ოსლოა).

კნუტ ჰამსუნის „თამარ მეფის" შესახებ 1904 წლის 17 იანვარს ვრცელი წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „ცნობის ფურცელში" ფილიპე გოგიჩაიშვილმა, რომელიც შემდგომ ცნობილი ქართველი ეკონომისტი, პროფესორი და თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი გახდა.

როგორც ფილიპე გოგიჩაიშვილი წერს, პიესა „თამარ მეფე" გერმანულ ენაზე ეთარგმნათ და დაებეჭდათ გერმანიაში. გოგიჩაიშვილი წერდა: „პიესას საქართველოს დიდის მეფის ცხოვრება აქვს საგნად, – თამარ დედოფლის პიროვნების დასურათება უდევს სარჩულად და შინაარსად. ეს პიესა ჩვენთვის, ქართველებისათვის, ბევრის მხრივ არის საინტერესო, ჯერ ერთი თვითონ ავტორი გამოჩენილი მწერალია ნორვეგიისა. გარდა ამისა, ეს, თუ არ ვსცდებით, პირველი მაგალითია, რომ ევროპულ მწერალს ჩვენი წარსული ცხოვრების მომენტი ან ისტორიული პირი აილოს სათეატრო ხელოვნების საგნად. საინტერესოა გავიგოთ, როგორ შეხედა უცხო მწერალმა ჩვენს ძველ ცხოვრებას, რა მხრით ეჩვენა მას ხელოვნებისათვის საყურადღებოდ დიდებული მეფის პიროვნება, როგორ გამოხატა ამისი ხასიათი, ფსიქიური ძლიერება, საზოგადოდ ქართველთა ძველი ზნე-ჩვეულება და თავისებურება.

ნორვეგიული დრამა სამმოქმედებიანია. პიესის კვანძს შეადგენს თამარისა და მისი ქმრის გიორგის ცოლქმრული განწყობილება ანუ უკეთ მოუწყობლობა, გიორგის, რომელიც არის ხასიათით სასტიკი, სიტყვა-პასუხში მოურიდებელი და ქალებთან თავ-დაუჭერელი, თამარის სიყვარული და თანაგრძნობა დიდი ხანია დაუკარგავს, თუმცა ერთ ჭერ-ქვეშ ცხოვრობდნენ, მაგრამ თამარი მისგან გულითა და გრძნობით დაშორებულია და ისე ეპყრობა, როგორც უცხოს და აფასებს მხოლოდ, ვითარცა სახელმწიფოსათვის საჭირო და სასარგებლო კაცს, რადგან გიორგი მამაცია და მტრებთან ბრძოლაში – შესანიშნავი მეომარი და აი, ეს გარემოება აგდებს გიორგის ფიქრსა და საგონებელში. მას უნდა ისეთი რამ გმირული საქმე მოიმოქმედოს, რომ თამარის სიყვარული დაიბრუნოს და მისი გული დაისაკუთროს... როგორც ისტორია გადმოგვცემს, თამარი იყო მეტად ღვთის მოსავი, კეთილი, შემბრალე და ადამიანის ღირსების პატივის მცემელი. ეს თვისებები ჰამსუნსაც აქვს თავის პიესაში ჩაქსოვილი. პირველ მოქმედებაშივე გიორგი წარუდგენს თამარსს ორს დატყვევებულ ქართველ ჯარისკაცს, რომლებსაც ბრძოლის ველისათვის თავი დაუნებებიათ და გაქცევა მოუწადინიათ.

– მე ესენი ცოცხალი დავტოვე, – ეუბნება გიორგი, – სანამ შენ არ გადაწყვეტ, თუ რა გვარის სიკვდილით უნდა დაიხოცნენ.

– და მე რომ გადავწყვიტო, რომ არ დაჰხოცონ და ცოცხალი დასტოვონ?

– თამარ, ამ გვარის შებრალებით შენ ვნებ ჩვენს ლაშქარს.

– არა, წაიყვანეთ ტყვეები და დაამწყვდიეთ, სანამ მე მათთვის რამე სამუშაოს გამოვნახავდე, მაგრამ თქვენ, მეომრებო, უნდა იცოდეთ, რომ ბრძოლის ველიდან გაქცევა არ ვარგა. ამაღამ ბორკილებით დარჩებით რომ ეს გაკვეთილი არ დაგავიწყდეთ.

დიდის თავაზიანობით და ღირსების პატივისცემით ეპყრობა თამარი დოვინის დატყვევებულ ხანსაც.

– ეგ არის ხანი? – კითხულობს იგი, როცა ტყვეს წარუდგენენ.

გიორგი: ეგ არის, რა იყო?

თამარი: უიარაღოდ?

გიორგი: ტყვე არის და იარაღი ავხსენით.

თამარი: მოუტანეთ მისი იარაღი.

ხანი: დიდებულო მეფევ, ნება მიბოძე მადლობა გამოგიცხადო იარაღის დაბრუნებისათვის.

თამარი: შენი ხალხი გვთხოვს შენს თავს, ხანო, შენთან ერთი სათხოვარი მაქვს და თუ ამისრულებ, თავისუფალი იქნები.

ხანი: რასაც ინებებ მიბრძანო, მე ყველაფრის აღმსრულებელი ვარ". ფილიპე გოგიჩაიშვილი აღნიშნავდა: „ჰამსუნის პიესის მთავარი მოქმედი პირი თამარია, რომელიც სხვებთან შედარებით გარკვეულად და ნათლადაა დასურათებული. ღრმა სარწმუნოებრივი გრძნობა, გულის სიკეთე, სინაზე და სირბილე, რომელსაც ისტორია გადმოგვცემს თამარის შესახებ, ჰამსუნსაც აქვს პიესაში ჩაქსოვილი".

ეს ყოველივე მოკლედ ჰამსუნის პიესაზე „თამარ მეფე", მაგრამ ამის შემდეგ მთავარია: დაიდგა თუ არა ეს პიესა ნორვეგიაში? გაიგეს თუ არა ნორვეგიელებმა თამარის სახელი?

ჰამსუნის პიესა დაიდგა ნორვეგიაში.

„კნუტ ჰამსუნის პიესა" „თამარ მეფე", რომლის განხილვა უკვე იყო ჩვენს გაზეთში, პირველად წარმოადგინეს ქალაქ ქრისტინიის „ეროვნულ თეატრში". როგორც გაზეთ „ლეიფციგის ახალ ამბებში" სწერია, პიესა ძლიერ მოსწონებია ხალხს".

ამას აუწყებდა ქართველ საზოგადოებას გაზეთი „ცნობის ფურცელი" 1904 წელს.

კნუტ ჰამსუნის სახელი ახლობელი გახდა საქართველოსათვის.

ამას წინათ შევხვდი თბილისში ჩამოსულ ნორვეგიის სამეფოს მოსკოვის საელჩოს პირველ მდივანს ოლე ბერნ რეგენს და ვუამბე, რომ საქართველოს ღირსეული მეფე – ქალის შესახებ კნუტ ჰამსუნს პიესა ჰქონდა დაწერილი და ყოფილი „ლონდონის" სასტუმროს შენობაში კი მწერლის ხსოვნის საპატივსაცემოდ მემორიალური დაფა იყო გაკეთებული.

გაეხარდა, მთხოვა, მეორე დღეს მეჩვენებინა ეს ადგილი.

მარტო არ მოვიდა, თან ორი ნორვეგიელი ახლდა. გამაცნო ისინი და მითხრა:

– როცა ამ ჩემს მეგობრებს ვუთხარი, სად მივდიოდი თქვენთან ერთად, ძალიან მთხოვეს თან წამოგვყოლოდნენ. მათაც უნდათ მემორიალური დაფის ნახვა.

და მალე ოთხივე ყოფილ „ლონდონის" სასტუმროსთან მივედით.

დაფაზე ასეთი წარწერაა ქართულად და ინგლისურად: „ამ შენობაში (ყოფილი სასტუმრო „ლონდონი") 1899 წელს თბილისში ყოფნის დროს ცხოვრობდა გამოჩენილი ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი (1859-1952)".

გაიხარეს ნორვეგიელებმა, მაშინვე სურათები გადაიღეს, მერე შენობაში შევიდნენ, ავიდნენ მეორე სართულზე, ეზოში გადაიხედეს და გულმოდგინედ დაათვალიერეს, იკითხეს შენობის ისტორია, გამოელაპარაკნენ მის მაცხოვრებლებს.

ისინი თავიანთი გამოჩენილი პიროვნების, ნობელის პრემიის ლაურეატის ცხოვრებას იხსენებდნენ. ფიქრობდნენ იმაზე, რომ აქაც დადიოდა ერთ დროს კნუტ ჰამსუნი.

მე კი თამარ მეფეზე ვფიქრობდი. წარმოვიდგინე, როგორი ინტერესით დაათვალიერებდნენ ქართველები ნორვეგიის ქალაქ ქრისტინიის „ეროვნულ თეატრს", მის სცენას, სადაც ქართველი მეფე ლაპარაკობდა, მერე რა, რომ დიდი ხნის წინათ.

**ანდრე კარბელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელოვანის გახსენება



● ნ. გოგოლი – „რევიზორი" – ანა ანდრეევნა, ც. წუწუნავა



● „კაცია-ადამიანი"?! დარეჯანი – ც. წუწუნავა, ლუარსაბი – ვ. გოძიაშვილი

# ბედნიერი შეხვედრა უბედური ფინალით

1949 წელს, ბატონი შალვა ღამბაშიძის წყალობით, შევდგი ფეხი ჩემს სათაყვანებელ დიდ ოჯახში, რომელსაც კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ჰქვია.

ბატონმა შალვამ მითხრა: – აბა, შენ იცი, რადგან გადაწყვიტე მსახიობობა (ამ დროისათვის კინოფილმებში უკვე შესრულებული მქონდა ორი მთავარი როლი), მინდა იცოდე, რომ ამას დიდი ჯაფა სჭირდება. ყოველ საღამოს დაკავებული იქნები მასიურ სცენებში... საგრიმიორო ოთახსაც მიგიჩენთ და...

– არა, ეს გოგონა ჩემთან იქნება, – ბრძანა იქ მყოფმა ქალბატონმა ცეცილია წუწუნავამ, რომელთანაც ფილმი „ბედნიერი შეხვედრა" მაკავშირებდა. და აი, ახლა აქ კი ნამდვილი ბედნიერი შეხვედრა იყო მასთან. – ღმერთო, – გავიფიქრე, – რა ბედნიერი ვარ, რომ მომეცი უფლება, ამ უმაღლესი ხელოვნების აკადემიაში ვიყო თუნდაც პატარა, მაგრამ მაინც მისი კანონიერი წევრი.

– ეს უჯრა შენი იქნება, ეს სარკეც... დღეიდან ჩვენ ერთად ვიცხოვრებთ, – ბრძანა დიდმა ქალბატონმა და რაღაც საოცარი თბილი ღიმილი მოეფინა მის კეთილშობილ სახეს.

ქალბატონი ცეცილია დიდი ტრადიციული ოჯახის წარმომადგენელი იყო, მისი ძმა, ალექსანდრე წუწუნავა თავის დროის ქართული საოპერო თეატრისა და კინოს რეჟისორი, დიდი საზოგადო მოღვაწეც გახლდათ. და – ქალბატონი ნინო, ცნობილი ექიმის, პროფესორ წულუკიძის მეუღლე ჩვენი ერთ-ერთი ბრწყინვალე მუსიკათმცოდნის – ანტონ წულუკიძის დედა იყო. ქალბატონ ცეცილიას მეორე და კი – საქართველოს სახალხო არტისტის თინათინ ბოლქვაძის დედა.

არც ახლობელ ნათესავთაგან და არც მაყურებლისაგან ქალბატონ ცეცილიას სითბო და სიყვარული არ აკლდა, მაგრამ... კენტად განვლილი მისი ცხოვრება მისთვის, ალბათ, მაინც სევდიანი იქნებოდა.

მე არ ვაპირებ ამ უნიჭიერესი დიდი მსახიობი ქალის შემოქმედების შეფასებას, რომელსაც წარმატება ჰქონდა თეატრშიც და კინოშიც. მინდა მხოლოდ ამ პატარა მოგონებით პატივი მივაგო მის ხსოვნას...

მაგონდება ქალბატონ მარიკა ბარათაშვილის გაუხუნარი კომედია „ჭრიჭინა", სადაც ქალბატონი ცეცილია ჭრიჭინას ბებიას განასახიერებდა. ეს სპექტაკლი კომიკური ურთიერთობების ფეიერვერკი იყო. საუკეთესო მსახიობები ვარსკვლავებივით ბრწყინავდნენ სცენიდან. ჭრიჭინა – მარინე, სიცოცხლით სავსე ნებიერი გოგონა – ულამაზესი მედეა ჯაფარიძე, აკაკი კვანტალიანი, ნინო ჩხეიძე, შოთა ქოჩორაძე, თამარ თეთრაძე და ჭრიჭინას უნიკალური ბებია – ქალბატონი ცეცილია.

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონ ცეცილიას ყველასთან თბილი და უშუალო ურთიერთობა ჰქონდა, მაინც განსაკუთრებული რიდი ჰქონდათ მისი და მოუზომავ სიტყვას მას ვერავინ ჰკადრებდა.

ერთადერთი ადამიანი იყო ბატონი გიორგი შავგულიძე, რომელსაც ყველასთან შეხუმრების უფლებას აძლევდა მისი არაჩვეულებრივად სალი, დახვეწილი იუმორი და რომელმაც ძალიან ლამაზად იცოდა ყველაფრის თქმა.

...და აი, ერთხელ კულისებში, სცენაზე გასვლის წინ ქალბატონმა ცეცილიამ რაღაც წაიწუწუნა... ბატონმა გიორგი ჰკითხა: – ჰო, რა იყო, ცეცო?

– დავბერდი, ბიჭო, დავბერდი... ბატონმა გიორგიმ არც აცია, არც აცხელა და მყის მიუგო: – დაბერდი? რას ამბობ, რა დროს სიბერეა, ამდენი ხანი თავი წმინდად შეინახე, ამ საუკუნის უნიკალური არსება ხარ, რას ამბობ, ცეცო, ახლა უნდა გაგათხოვო, ქიშმიშივით იქნებოო...

– უი, შე შეჩვენებულო, შენ არ მომიკვდი, რა გამიბედა ამ ხულიგანმაო, – და სიცილისაგან თავი ვერ შეიკავა.

რა საოცრებაა ბედისწერა... ვინ იცის, ვის ძვირფას სიყვარულსა და ხსოვნას შესწირა თავი და ქალობაზე უარი თქვა ამ მშვენიერმა ქალბატონმა. აფერუმ, მის ქალობას, ვინც ყველა ჩვენთაგანის სულიერი სილამაზის ეტალონი იყო.

და... რაოდენ გულსატკენია, როცა ასეთ სიწმინდეს მის კდემამოსილ, ფაქიზ სულს (ვისაც თეატრის გარდა სხვა უფრო დიდი სიხარული არ გააჩნდა) უხეშად მოექცნენ, რისი მოწმეც მე გახლდით.

თეატრში მივიჩქარი. ქალბატონ ცეცილიას ფოიეში კინაღამ შევეჯახე... ძალიან აღელვებული იყო, მთლად ცახცახებდა. გაოცებულმა ვკითხე, რა ხდება-მეთქი. ხელი მომკიდა, განზე გამიხმო და თვალცრემლიანმა ტრთოლვით და ჩურჩულით მითხრა: – „ნენა, მგონია „საკრაშჩენიაში" მოვყევი"... ელდა მეცა. უცბად გადავეხვიე, დავუკოცნე ცრემლიანი სახე და სიცილით ვუთხარი: – ვინ, ვინ მოჩმახა ეს სისულელე, თქვენ ეს გჯერათ? არ მინდა დავიჯერო, მაგრამ ისეთმა ვინმემ მითხრა... სიაში პირველი წერიხარო. მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ტყუილი იქნებოდა, რადგან შეუძლებლად ვთვლიდი ასეთ არაადამიანურ მოქმედებას. რამდენადაც შემეძლო, დავამშვიდე ქალბატონი ცეცილია. მერე, შინ წავალო, მითხრა და გასასვლელ კარამდე მივყევი, სულ რამდენიმე წუთის შემდეგ შეგვატყობინეს, ცეცილია წუწუნავა მანქანამ გაიტანაო. თავზარი დამეცა. ღმერთო, რატომ სახლამდე არ მივყევი... დღემდე არ მასვენებს ამის ფიქრი და კიდევ საშინელი ეჭვი იმისა, იქნებ თვითონ...

ქალბატონმა ცეცილიამ თავისი დიდი ნიჭიერებით მრავალი დაუვიწყარი სახე შექმნა. ახლაც მესმის მისი ხმა სპექტაკლიდან „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი": „ცაცა, ნუცა, ცუცა"..., რომელსაც განსაკუთრებული ინტონაციითა და მიმიკით წარმოსთქვამდა, რათა ყურადღება მიექციათ მისი შინაბერა ქალიშვილებისათვის.

დიდი, ძალიან დიდი სიხარული და სიამოვნება მიანიჭა მთელი სიცოცხლის მანძილზე ქალბატონმა ცეცილიამ თავის მადლიერ მაყურებელს.

ჩემო ქალბატონო ცეცილია! დიდო ქალბატონო, დიდო წინაპარო, მინდა ამ პატარა მოგონებით მოგეფეროთ. დარწმუნებული ვარ, თქვენი კეთილშობილი და ამაღლებული სული შეიგრძნობს ჩემს სიყვარულს და მონატრებას, რითიც ძალიან ბედნიერი ვიქნები.

**დოდო ჭიჭინაძე**

# შეხვედრების სახლი -იმედის სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ნუცუბიძის ქუჩის 187ა ნომერში, იქ, სადაც ერთ დროს პოპულარული კაფე „აქტრისა მარგარიტა" იყო, დღეს საქართველო-გერმანიის საზოგადოების ხანდაზმულთა სოციალური ცენტრი „შეხვედრების სახლი" ფუნქციონირებს, რომელიც აგერ უკვე წელიწადნახევარია ვაკე-საბურთალოს რაიონის 300-ზე მეტ ხანდაზმულს სამი პროგრამის: სამედიცინო მომსახურების, კულტურულისა და მობილური კვების მიხედვით ემსახურება.*

*პროექტს ევროგაერთიანება TACIS/LIEN და CORD AID-ი აფინანსებს.*

*ცენტრის სულისჩამდგმელი ქართველების გერმანელი სიძე, ან თბილისელი მათიას ვალენტინი გახლავთ, აღმასრულებელი მდივანი – თამარ ცირეკიძე. „სახლს" დირექტორთა საბჭო განაგებს ნანა ახვლედიანის, მანანა ქილიფთარის, ლევან ხელაიასა და მათიას ვალენტინის შემადგენლობით.*

*დღეს ჩვენი სტუმარი ქ-ნი თამარ ცირეკიძე გახლავთ, რომელიც ცენტრის მუშაობასა და მის სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება:*

**– ქ-ნო თამარ, თბილისში რამდენიმე ხანდაზმულთა სახლი არსებობს. რამ განაპირობა კიდევ ერთი სახლის შექმნა, ვისი იდეა იყო ეს და რით განსხვავდებით სხვათაგან?**

– ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის შექმნის იდეა ჩვენს გერმანელ მეგობარს მათიას ვალენტინს ჯერ კიდევ მშიერ 1993 წელს გაუჩნდა, როცა ჩუღურეთის რაიონში გაჭირვებულთათვის უფასო სასადილო გაიხსნა და, ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე, არასამთავრობო ორგანიზაციებში მეტად არაპოპულარული თემა – ხანდაზმულთა დახმარება იდო თავს.

თბილისში არსებული სხვა სახლებისაგან – „კათარზისი" და თბილისის ზღვაზე მდებარე სახლი მაქვს მხედველობაში – იმით განსხვავდებით, რომ ისინი პანსიონატის ტიპისანი არიან, ჩვენ კი საკლუბო უფრო გვეთქმის, რადგან აქ მუდმივად კი არ ცხოვრობენ, გასართობად და ერთმანეთის სანახავად, ერთმანეთის სულიერი სამყაროს გასაცნობად იყრიან თავს.

**– რა პრინციპით არჩევთ ხანდაზმულებს?**

– სოცუზრუნველყოფის განყოფილებების მეშვეობით. ეროვნებასა და სარწმუნოებას მნიშვნელობა არა აქვს. გვაქვს სარეზერვო სიებიც და, როცა თავისუფალი ადგილი გვიჩნდება, ახალ მოქალაქეს ვიღებთ.

**– თუ გქონიათ შემთხვევა, როცა ხანდაზმულს უარი უთქვამს თქვენს მომსახურეობაზე?**

– როგორ არა. თუკი აღარ ვჭირდებით, მადლობას გვიხდიან და მიდიან, მაგრამ ისეთებსაც უთხოვიათ დახმარება, რომ არაფერი სჭირვებიათ საამისო.

**– მაინც რა სახის დახმარებებზეა საუბარი და რა პრინციპით ემსახურებით მათ?**

– სამი პროგრამის მიხედვით ვმუშაობთ. პირველი კულტურული პროგრამაა და იგი სხვადასხვა ღონისძიებებს – გამოფენებს, პოეზიის საღამოებს, კონცერტებსა და ექსკურსიებს მოიცავს. აქვეა ხელგარჯილობის წრე; სადაც ჩვენი ქალბატონები (მამაკაცთა საოცარი სიმცირეა!) სურვილის მიხედვით ქარგვის, ქსოვის, გობელენების, ფარდაგებისა და თექის განხრით, ხატვის წრეში კი აკვარელის საღებავებით (სტოკმარით) მუშაობენ.

მობილური კვების პროგრამა – ბინაზე საკვების მიტანას ითვალისწინებს, აქვე მდებარე კაფეში კი ხანდაზმულები ყავას, ჩაისა და ნამცხვარს უფასოდ მიირთმევენ.

სამედიცინო მომსახურება მედდების ბინაზე მისვლას გულისხმობს. „სახლში" ოთხი მომვლელია. მათი პაციენტები ძირითადად მწოლიარე ავადმყოფები არიან და ამიტომ საქმიანობის სფეროც ფართოა: მოხუცებულის დაბანა, ნაწოლების მოვლა, წნევის კონტროლი, სამკურნალო ვარჯიშები, ინექციები და სხვა.

ჩვენი დიასახლისი მარტოხელა მოხუცებულებს ბინას ულაგებს და, თუ საჭიროა სადილსაც უმზადებს. თეთრეულიც ჩვენთან ირეცხება და დაუთოებული უბრუნდება პატრონს.

ცენტრს საკუთარი ექიმი ჰყავს, რომელსაც კვირაში ორჯერ აქვს მიღება. აქვეა ევრითმიის წრეც, სადაც ხანდაზმულები მოძრაობის ხელოვნებას ეუფლებიან და ვარჯიშობენ.

**– მედიკამენტების მხრივ როგორაა საქმე?**

– ძალიან გვიჭირს. რამდენჯერმე გამოგვიწოდეს დახმარების ხელი, განსაკუთრებით ქ-ნმა ნელი ჯავახიშვილმა, მაგრამ ეს საკმარისი არაა.

**– ქ-ნო თამარ, რა თანხები იხარჯება ყველა ამ სიკეთეზე და საიდან იღებთ მათ?**

– ეს ყველაფერი ევროგაერთიანების გრანტებია, რომელიც ვალად არავის დააწვება კისერზე, ოღონდ მიზნობრივად უნდა დაიხარჯოს. ეს კი ხანდახან უხერხულობასაც [illegible] დაც, გაგვიფუჭდა გენერატორი, გაჩერდა სამ[illegible] [illegible]ტში კი ახლის შეძენის ან ძველის გასარემონტებელი თანხები გათვალისწინებული არაა. არადა, დარჩა ხალხი მშიერი.



● ცენტრის ხელმძღვანელი მათიას ვალენტინი



● მომვლელთა ჯგუფი

**– გაკონტროლებთ ვინმე?**

– გვაკონტროლებს და საკმაოდ მკაცრადაც ევროგაერთიანებიდან დროდადრო ჩამოსული ე.წ. რევიზორი.

**– კაცმა რომ თქვას, საათივით გაქვთ ყველაფერი აწყობილი – სისუფთავე, ნორმალური კვება, ხელსაქმისა და ხატვის წრეები. დავიჯეროთ, პრობლემები სულ არ გაქვთ?**

– ჩვენი პრობლემა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კონტაქტების და თანამშრომლობის სიმცირეა. თუ სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები ჩვენდამი ინტერესს გამოიჩენენ, უცხოეთში შეიძლება დონორების მოძიება, რომლებიც თუ „კათარზისის" მსგავს სახლს ვერა, 3-4 ოთახს მაინც გაარემონტებენ, მოაწყობენ და თითოეულ რაიონში რომ ასეთი ცენტრი შეიქმნას, განა ცუდია?

**– სამომავლოდ რა გაქვთ ჩაფიქრებული?**

– პირველ რიგში, ექსპერიმენტის სახით, გვსურს ერთ კეთილმოწყობილ ბინაში რამდენიმე ხანდაზმული ჩავასახლოთ და შესაბამისი მეურვეობა გავუწიოთ. იმედი გვაქვს, გაამართლებს. ახლო მომავლისათვის მამაკაცების მოზიდვა და ფოლკლორული ანსამბლის შექმნა გვაქვს განზრახული. სხვათა შორის, ბატონი მათიასი ქართულ ხალხურ სიმღერაზე უზომოდაა შეყვარებული.

X X X

ჩვენი სტუმრობის დროს „შეხვედრების სახლში" ერთდროულად რამდენიმე საინტერესო გამოფენა მიმდინარეობდა. შესასვლელში მოყვარული ფოტოგრაფის ჯანგირ ელიაშვილის ფოტონამუშევრები იყო გამოფენილი, დიდ დარბაზში – ვენერა ჯიბუტისა და ნინო კანდელაკის რელიგიურ თემებზე შექმნილი არაჩვეულებრივი ნაქარგობანი, ფატი საგინაშვილის ნამუშევრები. ქვედა სართული კი, ასევე თვითნასწავლი მხატვრის, თუნგიზ ბურჯანაძის ფერწერულ ტილოებს ჰქონდა დათმობილი.

როგორც დირექტორთა საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, ახლო მომავალში კიდევ რამდენიმე საინტერესო გამოფენისა და ღონისძიების მოწყობას აპირებენ და მე, ცოტა არ იყოს, შემშურდა კიდეც იმ ხანდაზმულებისა, ბევრ ჩვენგანზე უფრო მჩქეფარე და სისხლსავსე ცხოვრებას რომ ეწევიან. მარტოობა, სიბერის ყველაზე საშინელი თანამგზავრი, უკან იხევს.

მანანა იმესაშვილი

---

აფხაზეთი – ჩვენი სატკივარი

## ენგური და ფსოუ

ფოთის პორტში, ერთ მყუდრო ნავსადგომთან მშვიდად ირწევა ტალღებზე ერთი ბაგირით გადაბმული, ერთმანეთს ტყუპისცალივით მიმსგავსებული ორი კატარღა. ერთ დროს ლამაზად შეღებილ მათ გვერდებს ალაგ-ალაგ ჟანგი მორევია. დგანან მოწყენილი, გაფერმკრთალებული ზღვის რაინდები. გახუნებულა წარწერები მათ ფერდებზე, თუმცა ჯერ მაინც კარგად იკითხება: „ენგური" და „ფსოუ".

თოლიები დასტრიალებენ თავს სევდიანი ყივილით. იქნებ მათი სამშობლო აფხაზეთია?

ვინ იცის!

ცოცხლებივით თრთიან ზოგჯერ კატარღები, ერთმანეთს ეგლასუნებიან გამობერილი ფერდებით – თავის ენაზე საუბრობენ ალბათ.

იმ დღეებს თუ იგონებენ, ალმოდებული, ვანდალების ხელში ჩავარდნილი ქალაქიდან გაწირული მოსახლეობა რომ გამოჰყავდათ. უზარმაზარ ზვირთებზე ქაღალდის გემებივით მოფარფატე კატარღებს მაშინ რამდენი წყვილი თვალი შესცქეროდა იმედით...

ან იქნებ უფრო ადრინდელი, ტკბილი მოგონებები სურთ გაუზიარონ ერთმანეთს – ფირუზისფერ წყალზე ნარნარად რომ მიირწეოდნენ, ირგვლივ კი მუსიკა და ჟრიამული ისმოდა...

იქნებ მომავლის გეგმებს აწყობენ – როგორ დაბრუნდებიან მშობლიურ ყურეში, როგორ წაიყვანენ უკან ახლა უკვე გახარებულ, იმედიან ადამიანებს, მერე როგორ ჩადგებიან თავის ჩვეულ რიტმში და ერთმანეთს წაებმება ლამაზი დღეები...

ჯერ კი ბედისწერას ერთმანეთისათვის გადაუბამს ეს ორი სამანი აფხაზეთისა – სამარადჟამოდ ერთმანეთთან დაკავშირებული – ენგური და ფსოუ – ერთ ბედში მყოფნი, თითქმის მივიწყებულნი, მოულოდნელად ქცეულნი!

იქნებ განგების ნებაა, ასე რომ დგანან – იმ ძეგლივით, ყველას რომ უნდა შეახსენოს – ერთია და ერთიანი ენგური და ფსოუ. მართალია, გულისმომწყვლელი ლოდინისაგან შეჭირვებული, მაგრამ მაინც ცოცხალი, მფეთქავი, იმედიანი. შეახსენოს, რათა დროზე მოხდეს მოსახდენი, ჟანგმა და მოუსაფრობამ არ იმძლავროს და ის ჯერ კიდევ მბჟუტავი ნაპერწკალი არ ჩააქროს, რომელსაც დაბრუნება ჰქვია...



აფხაზეთი – ჩვენი სატკივარი

## მომღერალი

ხალხის ხმაურს ჩონგურის კვნესა ერთვის, რომელსაც ხანგამოშვებით ბავშვის ნკრიალა ხმა ფარავს. დედა-შვილი ზის მოსაცდელ მერხზე მეტროში. დედა ახალგაზრდაა, სუსტი, ნაზი აგებულების. თვალის ჩინი დაშრეტია, მაგრამ განაფული თითები მაინც საამურად აჟღერებს სიმებს. გოგონა ათიოდე წლის იქნება, ხუჭუჭთმიანი, თვალებში უძირო სევდა ჩაბუდებია. მგზავრები ნაღვლიანად გადახედავენ ხოლმე მათ. დროდადრო იქვე დადგმულ პატარა ჯამში ხურდა ნკრიალებს...

კარგა ხანია, საოცრად ერთფეროვანია დღეები დედა-შვილისათვის, რომლებსაც სიდუხჭირემ ეს ნაბიჯი გადაადგმევინა, ასე ძნელი და დამთრგუნველი.

პირველი დღეები იყო განსაკუთრებით მწარე. გოგონას არ სურდა მეტროში ემღერა. იგი, საოცარი სმენისა და ხმის პატრონი, სულ სხვაზე ოცნებობდა, მაგრამ დედის სიყვარულმა ყველაფერს აჯობა, დედისა, რომელიც აკანკალებული ხელებით ეფერებოდა მის მკერდს მინდობილ პატარას, თან თბილად, დინჯად ესაუბრებოდა მას:

– ჩემო პატარავ, ამ ქვეყნად ყველამ საკუთარი შრომით უნდა ირჩინოს თავი. ჩვენ სხვა არაფერი შეგვიძლია, შვილო, მაგრამ არ გეგონოს, ის, რაც ჩვენ უნდა ვაკეთოთ, სამარცხვინოა. მერე რა, რომ ახლა ძალიან გვიჭირს. ნუ გეშინია, მალე ყველაფერი კარგად იქნება, ოღონდ მანამდე ცოტა უნდა მომეხმარო, შენ ხომ ჩემი ჭკვიანი გოგო ხარ! შენ ძალიან ნიჭიერი ხარ, აუცილებლად დიდი მომღერალი გახდები...

ჩუმად, უხმოდ იცრემლებოდა პატარა, დედა ხომ ცრემლს ვერ დაინახავდა! მერე სძლია თავს, ფრთხილად გაიმშრალა სველი ლოყები და მისთვის ყველაზე ძვირფას, უსინათლო თვალებს ემბორა...

დღე დღეს მისდევს. ჩონგური კვნესის, ნკრიალა ხმით მღერის პატარა გოგო, რომელსაც თვალები ოდნავ მიუნაბავს, რადგან იგი ახლა აქ არ არის. იგი დიდ სცენაზეა. საოცრად ლამაზი კაბა აცვია. უამრავი მსმენელი აღფრთოვანებით შესცქერის მას. ირგვლივ ყვავილების ზღვაა.

აპლოდისმენტები აყრუებს დარბაზს და გოგონას სცენაზე ხელჩაკიდებული ფრთხილად გამოჰყავს დედა, მისი ყველაზე დიდი მეგობარი და მასწავლებელი. ყველანი აღტაცებულნი ეგებებიან მას...

ღამით კი, როცა უშუქო ოთახში მთელი დღის დაღლილი პატარა მშვიდად ფშვინავს, ძილგატეხილი დედა ჩუმად ეფერება:

– დედა მოგიკვდეს, შვილო, როგორ გაიტანჯე! შენს ნკრიალა ხმაში რამდენი ნაღველია! ვგრძნობ, ძლიერ გიჭირს, მაგრამ გული რომ არ მატკინო, არაფერს ამბობ.

– ნუთუ არაფერი შეიცვლება! რა ელის ჩემს ანგელოზს ხვალ!

– ღმერთო! აქმარე ეს გასაჭირი, ის ხომ ისედაც დაჩაგრულია ჩემს გამო! უშველე ობოლს და აუხდინე ოცნებები უმანკოს და უმწეოს!

სხივჩამქრალი თვალებიდან ჩუმად მოგორავს კურცხალი და ბალიშს ნამავს, სარკმელში კი უკუნიდან გამომკრთალი მთვარის შუქი მოიპარება და პატარას სპეტაკ შუბლს ელაციცება...

ციცინო ჯულუხიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეა გვასალია:
## მევომრე და „დიდი ავანტიურისტი“



*„მოამბისაგან“ განსხვავებით, გადაცემა „ამბობენ“ ყოველთვის მართალს გვეუბნება. საიდან ამდენი ინფორმაცია?! ამბობენ... თეა გვასალია ამ „საიდუმლო მასალებს“ უცხოეთის სადაზვერვო სამსახურიდან იღებსო. და კიდევ, ბევრ რამეს ამბობენ... ამის შესახებ და კიდევ სხვა რამის შესახებ, თქვენს წინაშე თავად ისაუბრებს „ჰოლივუდის“ პარანორმალურ მოვლენათა მკვლევარი თეა გვასალია.*

**— თეა, ჭორაობა გიყვარს?**

– არა. იცი, როგორ არ მიყვარს?! სიტყვას ვერ დამაცდენინებ ვერავისზე. მგონია, რომ ჩემს გადაცემაში ინფორმაცია საჭორაო არ არის. ასე ჩანს. მე ხომ რასაც ვამბობ, ყველაფერს ვაჩვენებ. ეს მსუბუქი, გასართობი გადაცემაა.

**— მასალას როგორ იღებ, აგენტურა ხომ არ გყავს?**

– ეს ჩემი პროფესიული საიდუმლოა. რამდენიმე არხიდან ვიღებ. ძირითადად, უცხოეთიდან.

**— უცხოეთში ვინ ვისთან ცხოვრობს, ამაზე ინფორმაციას სრულყოფილად ფლობ. რა მდგომარეობაა საქართველოში ამ მხრივ?**

– არ მაინტერესებს. როცა ქართულ მასალაზე ვმუშაობ, მივდივარ, ვიღებ და იმას ვაშუქებ ეთერში. არასდროს ვიტყვი, ამ მსახიობს ის მსახიობი უყვარს, ეს იმას ღალატობს. თან საქართველოში ამაზე ლაპარაკი ცოტა ძნელია. ოჯახი დაინგრევა და შეეწირება ჩემს გადაცემას. არავის ცოდვის დადებას არ ვაპირებ.

**— ქართულ მასალას როგორ შოულობ, კულისებში ისმენ?**

– ოპერაში დადგმულ „კარმენზე“ მაქვს კარგი ჭორები. გადაცემის შესავალში თავს ვიზღვევ და ვამბობ, „თავად სპექტაკლის ღირსება ხელოვნებათმცოდნეებმა შეაფასონ, მაგრამ მე მოგიყვებით იმ ჭორებზე, რომელიც ვიცი, რომ მართლაც მოხდა“. ფრანგი ტენორი, რომელიც ჩამოიყვანეს დონ ხოზეს როლზე, ლამის მეხუთეხარისხოვანი მომღერალია. ჩვენებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ უკეთესი ტენორი მოეწვიათ, და ამიტომ იმ ჰონორარს, რომლის გადახდაც ჩვენებს შეეძლოთ, ეს მომღერალი დათანხმდა. უყვარს თურმე სმა, ქალები. და ერთ რეპეტიციაზე, ნასვამი რომ გადაფსკვნია მსახიობ ქალს და გადაუწვენია ბილიარდის მაგიდაზე, ლამის იქვე რაღაცა დაუპირებია. ძლივს ააგლიჯეს თურმე ქალს.

რა თქმა უნდა, მე ვერ განვსაზღვრავ, იქ მომღერალმა სი ბემოლი სუფთად აიღო თუ ვერა, ვიღაცის ნათქვამი რატომ უნდა გავასაღო ჩემს აზრად? რაშიც კომპეტენტური ვარ, იმას ვაშუქებ.

**— ოჯახის შექმნისათვის როდის აღმოჩნდი კომპეტენტური?**

– დიდი ხნის წინ. ათი წელია, რაც გავთხოვდი. თუ გაინტერესებთ ჩემი აზრი ამასთან დაკავშირებით, ვთვლი, რომ სისულელეა, როცა ძალიან ახალგაზრდა თხოვდები. ერთი მხრივ, ძალიან გამიმართლა, რადგან ჩემი მეუღლე ლევანი არაფერში მზღუდავს. გათხოვების მერე მოვასწარი ესპანეთში სასწავლებლად წასვლა, მოგზაურობაც. ჯერ ბავშვი არ გვყავს და ამ მხრივ, არც ვჩქარობთ. ცხოვრებაში თუ რაღაცის გაკეთება გსურს, ადრე არ უნდა გათხოვდე. ასეთი იქნება ჩემი რჩევა, თუმცა მე არ მეხება, რადგან ლევანს ხელი არაფერში შეუშლია.

**— ქართველ მამაკაცთაგან ყველაზე პროგრესული აგირჩევია. ვინ არის იგი?**

– ლევან ჩიკვაიძე. ცოტა ხნის წინ სტუდია „მაესტროს“ დირექტორი იყო. ახლახან კი პირველი არხის სარეკლამო სააგენტოს გენერალურ დირექტორად დანიშნეს. ჩემი „მაესტროში“ მისვლაც ლევანმა განაპირობა, თუმცა ქუჩიდან არ მისულვარ. პირველად „იბერვიზიაში“ ვიყავი,შემდეგ ეს ტელეკომპანია დაიშალა.

**— ალბათ, არც ლევან ჩიკვაიძესთან მისულხარ „ქუჩიდან“. გაგვაცანი შენი მშობლები.**

– დედაჩემი, ნარგიზა მგელაძე ჟურნალისტია. ადრე გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი იყო, ახლა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორია. მამას, ლერი გვასალიას არავითარი შეხება არა აქვს ჟურნალისტიკასთან. ტექნიკურ უნივერსიტეტში არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრის გამგეა. მყავს ერთი და ნათია, ფილოლოგია. მუშაობდა ედუარდ შევარდნაძის პრესცენტრში. შემდეგ გათხოვდა, ბავშვი შეეძინა და ამიტომ ჯერჯერობით არ მუშაობს. სიძე, ბესო ტყეშელაშვილი – გინეკოლოგია, ახლახან დაიცვა სადოქტორო.

**— სიძე თუ გაძლევს სპეციფიკურ რჩევებს?**

– როგორ არ მაძლევს, თუმცა უფრო ვკამათობთ. ყოველთვის გამოვდივარ სიტყვით, რომ ქალი ასე არ უნდა იტანჯებოდეს მშობიარობის დროს. გადაცემა „უცნობის“ ავტორის, ეკა აკობიას და ინგლისშია გათხოვილი, იქ გააჩინა ბავშვი. სამშობიაროში რომ მიიყვანეს, გაუმტკივარების ექვსი მეთოდი შესთავაზეს, რომელსაც თითს დაადებდა ამშობიარებდნენ ისე, რომ ვერაფერს გაიგებდა. მეც ამ საკითხზე ვეკამათები ბესოს, რატომ არ შეიძლება საქართველოშიც ასე ხდებოდეს-მეთქი? ის კი ასე მპასუხობს: ქალმა ეს ერთი გადასატანი ბუნებრივად უნდა გადაიტანოსო. ქართულ მედიცინაში ასეთი აზრია, რაც უფრო დაიტანჯება ქალი მშობიარობის დროს, მით უფრო კარგია ბავშვისათვის.

**— შეშინებული ჩანხარ, ბავშვის გაჩენაზე ამიტომ იკავებ თავს?**

– მართალი გითხრა, ძალიან მეშინია.

**— სამშობიაროდ ინგლისს ხომ არ მიაკითხავდი?**

– ესპანეთს სიამოვნებით.

**— თუმცა ესპანეთს უკვე კარგა ხანია მიაკითხე...**

– ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე საინტერესო და ლამაზი ეპიზოდია. ბავშვობაში ავიჩემე, ესპანური მასწავლეთ-მეთქი. მშობლებს ეგონათ, გაუვლისო, მაგრამ არ გადამიარა. მიმიყვანეს კერძო მასწავლებელთან. დავიწყე, მაგრამ რა დავიწყე. დღე და ღამე ესპანურს ვსწავლობდი. გაკვეთილებს რომ ვამზადებდი, ზემოდან მედო სკოლის სახელმძღვანელო, ხოლო გამოწეულ უჯრაში – ესპანურის. კარის ხმას რომ გავიგებდი, უჯრას მივწევდი და ასე ჩუმად, გაკვეთილების ნაცვლად ესპანურს ვსწავლობდი. მაშინ ესპანელები იშვიათად ჩამოდიოდნენ და კარგი გამოთქმა რომ მქონოდა, ღამღამობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიოთი „ესპანეთის საერთაშორისო რადიოს“ ვიჭერდი. ისიც ღამის სამიდან ოთხამდე, თანაც ისე ახშობდნენ ხმას.

შემდეგ ჩავაბარე უცხო ენებზე. ესპანური ენა არ იყო და გერმანული ავირჩიე. მეოთხე კურსზე რომ ვიყავი, თბილისში მადრიდის უნივერსიტეტის პროფესორი ლუის ხილი ჩამოვიდა. მის ერთ-ერთ ინტერვიუზე თარჯიმნად მიმიწვიეს. ეს კაცი გაკვირვებული დარჩა, ქართული ასე კარგად როგორ ისწავლეო. აღმოჩნდა, ენა უკვე ისე კარგად ვიცოდი, რომ ესპანელი ვეგონე. შემპირდა, როგორ იქნება ესპანეთში არ წაგიყვანოო. როცა წავიდა, ვიფიქრე, დაავიწყდებამეთქი, მაგრამ ორ კვირაში ჩამოვიდა მოწვევა, საცხოვრებელი კოლეჯის, წიგნების და კვების ფული გადახდილი იყო.

**— განშორებას როგორ შეეგუა ლევანი?**

– თანაც ახალი გათხოვილი ვიყავი, მაგრამ სანამ გავთხოვდებოდი, გავაფრთხილე: ესპანური იმისთვის არ მისწავლია, რომ სახლში ჩავჯდე-მეთქი, თუ მომეცემა ესპანეთში წასვლის საშუალება და შენ წინააღმდეგი იქნები, ახლავე მითხარი-მეთქი. ოღონდ გამომყევი და რაზეა ლაპარაკიო. თან ისე არ გეგონოს, რომ მე ესპანეთში ვსეირნობდი, ის კი თბილისში იჯდა და დარდისაგან დნებოდა. ლევანი მაშინ პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეატრში იყო და ლამის მთელი მსოფლიო მოიარა.

**— თქვენი დღევანდელი საქმიანობა ესპანურ ენას უკავშირდება?**

– მარკესს ვთარგმნი, მისი ცხრა წიგნი მაქვს თარგმნილი, ჩემი საყვარელი მწერალია. სტრიქონებს შორის რისი თქმა უნდა, ისიც კი მესმის. ფირმაში თარჯიმნადაც მიმუშავია.

**— ...ამბობენ, სერიალებსაც თარგმნისო.**

– ვთარგმნიდი. საშინლად არ მიყვარს სერიალები. პირველ არხს „კასანდრას“ თარგმნა უკვე დაწყებული ჰქონდა, რუსული ტექსტიდან თარგმნიდნენ. თარგმანის თარგმანი რა უნდა ყოფილიყო. ნათარგმნი ტექსტი უკვე ისეთი მოკლე გამოდიოდა ესპანურთან შედარებით, რომ გახმოვანების დროს მსახიობები იტანჯებოდნენ, რომ დიალოგები როგორმე შეევსოთ. მოკლედ „კასანდრას“ დასაწყისი იმპროვიზაციაზეა აგებული. სიმართლე გითხრა, ფინანსურად დამაინტერესეს.

**— რამდენი გადაგიხადეს?**

– „კასანდრას“ ერთ სერიაში 20-25 ლარი იყო გამოწერილი. დაქვითვით 15 ლარი გამოდიოდა. შემდეგ ისე გამიჯანჯლეს და ისე ნაწილ-ნაწილ მომცეს, რომ ვერც ვიგრძენი, ისე დამეხარჯა. დასაწყისში ვფიქრობდი, ენა პრობლემა არ არის და დაწერას რა უნდამეთქი. აღმოჩნდა, რომ თითო სერია 30 თაბახი გამოდიოდა. ნახე ხელზე რა მჭირს (მაჩვენა დაკოჟრილი თითი), დღემდე ვერ მოვიშუშე სულელური „კასანდრას“ გულისათვის.

მერე დაიწყეს არგენტინული სერიალის – „სიყვარულის ისტორიის“ თარგმნა. შემპირდნენ, ახლა მაინც კარგად აგინაზღაურებთო. შევები ისევ ამ სერიალს, მაგრამ სამუშაო შუამდე ძლივს მივიყვანე, ლამის გავგიჟდი.

**— თეა, საკმაოდ დაკავებული ჩანხარ. ოჯახისათვის როდის იცლი?**

– საბედნიეროდ, ლევანი ჩემზე დაკავებულია და არც ისეთი ტიპია, სახლში დამსვას, ცოლი ხარ და სადილი უნდა მიკეთოო.

**— გამოდის, რომ სადილებს არ აკეთებ?**

– სადილს ვაკეთებდი, თანაც ძალიან წარუმატებლად. არ გამომდის. შენ რომ ჩემი გაკეთებული სადილი გეჭამა, გაგიჟდებოდი. ხომ არის ადამიანი, რაღაც ეხერხება, რაღაც არ ეხერხება. იმდენად არ მეხერხებოდა, რომ ლევანის არაპრეტენზიულობის მიუხედავად, თვითონ მაწუხებდა სინდისი.

**— ამხელა პრობლემას როგორ წყვეტდი?**

– ხან დედაჩემი მატანდა, ხან – ჩემი დედამთილი. მერე ნახევარფაბრიკატებს ვყიდულობდი. შემდეგ ყველაფერი საშინლად მომწყინდა. ახლა ერთი ქალბატონი მეხმარება და ბოლოს და ბოლოს დავისვენე.

**— ოჯახის საქმეებიდან არაფერი არ გიყვარს და არც გეხერხება?**

– არა. საშინლად არა. ერთადერთი, რაც გამოვიგონე, შემიძლია მკითხველსაც შევთავაზო. ხახვს რომ ჭრი, ცრემლები ხომ ჩამოგდის? ამ პრობლემას ასე ვწყვეტდი: თვალზე საცურაო სათვალეს ვიკეთებდი. ეს იყო ჩემი ნოვატორული მიღწევა კულინარიაში, რომლის იქითაც არ წავსულვარ.

**— თეა, კარგად რომ გამოიყურები, აქაც ნოვატორობას ხომ არა აქვს ადგილი?**

– თუ გაინტერესებს, თმა შეღებილი მაქვს „ფარმაკოლორ 8ტ“-ით, კარგი ფერია, მაგრამ ეკრანზე არ ჩანს. მიყვარს სუნამო „dune“. საერთოდ ვხმარობ ძალიან ცოტა კოსმეტიკას – პომადას და თვალის კონტურს. არ ვეკიდები, რომ მაინცა და მაინც „ივ სენ ლორანის“ იყოს.

**— ჩაცმის პრობლემას როგორ წყვეტ?**

– ადრე „მაესტროს“ დადებული ჰქონდა ხელშეკრულება ერთ მაღაზიასთან, რომელიც წამყვანებს გვაცმევდა. რატომღაც ყველას ეგონა, რომ ამ ჩასაცმელს ჩვენ გვიტოვებდნენ. იყო ლაპარაკი, რა ბედნიერი ხართ, ამდენი ტანსაცმელი რომ გექნებათო. ახლა კი, რაც მაქვს, იმით გავდივარ ან ჩემს დას ვართმევ. საერთოდ, არ მიყვარს სხვისი ტანსაცმლის ხმარება, არ შემიძლია.

**— რაიმე გატაცება ხომ არა გაქვს?**

– არ ვიცი, ეს გატაცებაა თუ არა. ძალიან მიყვარს რაგბი. ბავშვობაში ფეხბურთს ვთამაშობდი, ნახევარდაცვაში. მერე ამ ჩვენმა ფეხბურთელებმა ისე ჩაისვარეს, რომ აღარც მაინტერესებს.

**— ხომ არ დაუბრუნდები ფეხბურთს, ბოლოს და ბოლოს, იქნებ ჩვენი გუნდი გადაარჩინო.**

– (იცინის). აღარ მაინტერესებს, ნერვებს მიშლის. ახლა რაგბით ვარ გატაცებული. ბიძა მყავს რაგბისტი, ერთხელ წამიყვანა თამაშზე და ძალიან მომეწონა.

**— რაგბის თამაში ხომ არ დაგიწყია?**

– (იცინის) არა. ძალიან ვირული სპორტია, მაგრამ ვაჟკაცურია. ასე გავხდი რაგბის გულშემატკივარი. როცა საქართველოს ნაკრები თამაშობს, არ ვაცდენ. პირველ რიგში ვზივარ და გუნდს ყვირილით ვამხნევებ. ჩვენს რაგბისტებს არანაირი პირობები არა აქვთ. მაგრამ რაც შეუძლიათ, ყველაფერს აკეთებენ. ამ ფეხბურთელებს არაფერი აკლიათ, „აიაქსებში“ და სხვა გუნდებში სახელს ითქვამენ, საკუთარი გუნდისთვის კი არაფერს აკეთებენ. რაგბი კაცური სპორტია.

**— თეა, სასაცილო სიტუაციაში ხშირად ჩავარდნილხარ?**

– ერთხელ მოსკოვში მივფრინავდი. ეს ის დრო იყო, როდესაც თბილისში ბენზინი ჭირდა, სინათლე არ იყო, საშინელებები ხდებოდა. ვზივარ თვითმფრინავში და ველოდები გაფრენას სამი საათი. გვერდზე მიზის ორი თათარი. მე წიგნი მაქვს წაღებული და იმაში ვარ ჩაფლული. ამ დროს ერთი თათარი მეუბნება: „დევუშქა, დევუშქა გრანათუ ხოჩეშ?“. უცებ ვერ მოვედი აზრზე და მგონია, ასაფეთქებელს მთავაზობს. ბავშვობიდან ვოცნებობდი ასეთ სიტუაციებში მოხვედრაზე. ვიფიქრე, ოცნება ამისრულდა-მეთქი, მაგრამ თათარმა ბროწეული გამომიწოდა – „სვაიმი რუქამი ვირაშივალ“, ამ დროს დავხედე ხელებზე და ხელები აქვს შავი, ისეთი... მაინც გამოვართვი. რახან გამოვართვი, ჩათვალა, მეც რაღაც გრძნობა გამიჩნდა. ისევ მეუბნება: „დევუშქა, დევუშქა, ზამუჟ ვიდიშ ზა მენია?“ ავუხსენი, გვიანია უკვე, გათხოვილი ვარ-მეთქი. ის მეუბნება, „ნიჩევო, მუჟ ნი სთენა, ათადვინემ“. არ გამოვა ეს ამბავი-მეთქი. ის მეუბნება, „ჩთოთი ხოჩეშ, ნა მეშქახ დენგამი სპაც ბუდეშ, ვ გარდაბანი დომ ქუფლუ, ვ მასქვე დომ ქუფლუ, ი ვ თბილისი თოჟე დომ ქუფლუ“. ვეუბნები „ა, ვ მადრიდე კუპიშ?“ „მადრიდ, ა გდე ეთა?“ – მითხრა ეს და ამით დამთავრდა ეს ურთიერთობა.

**— დავუბრუნდეთ შენს სათავგადასავლო-ავანტიურისტულ ოცნებებს...**

– ჰოროსკოპით „მშვილდოსანი“ ვარ და პირველი, რაც მიწერია, მაწანწალა და ავანტიურისტი ხარო. ბავშვობაში მეკობრეობაზეც ვოცნებობდი.

**— სად აპირებდი მეკობრეობას, შავ ზღვაზე თუ მტკვარზე?**

– კარიბის ზღვაზე, მაგრამ მამაჩემმა მითხრა, გოგო ხარ და გემზე კოკად დაგნიშნავენო. კოკობამ არ მომხიბლა და გადავწყვიტე კლოუნობა. მერე ამიხსნეს, კლოუნი რომ გამოხვიდე, ტანვარჯიშზე უნდა იაროო და ესეც გადავიფიქრე.

შემდეგ კოსმონავტი ხომ არ გავხდე-მეთქი, მაგრამ ბავშვობისას თვითმფრინავში ცუდად ვხდებოდი და ვიფიქრე, მთვარეზე რომ გავფრინდები, იქ რაღა მომივა-მეთქი?! ამის შემდეგ უკვე ესპანური მომინდა და ერთი მიმართულებით წავედი. ისე კი, დიდი მეკობრე დაიკარგა ჩემი სახით.

**— შენი გადაცემის ავტორს ავანტიურული თვისებების გამოვლენა არ გაგიჭირდება.**

– მართალია. ახლა ქართულ სიუჟეტებში ისე მიწევს ეს ავანტიურისტობა, რომ რაც უფრო მეტს გადავიღებ, მით უფრო გაიზრდება ალბათ.

**— ე.ი. სადაც დაგინახავენ, ჩუმად უნდა იყვნენ?**

– (იცინის). ასეა, მაგრამ რა ვქნა?

**ქეთი გოგნაძე**

**„ტელესკოპი“ №12, 1999 წ.**



# გულქანი

1970 წელს, ზაფხულში დუშეთის რაიონის ტოპონიმიის აღსაწერად სოფელ ფუძნარში ავედი. ვიცოდი, ვაჟა-ფშაველას ქალიშვილი გულქანი იქ ცხოვრობდა. კრამიტით დახურული, სარეხიანი სახლი ტყიანი გორის პირზე იდგა. დერეფანში დად-მოდიოდა წელში მოხრილი ბებერი ვაჟას ქალიშვილი. გამოვეცნაურე.

— ავაიმე, ბიჭო, ვანოს შვილი ხარ! — გამიღიმა და ტახტზე ჩამოსაჯდომად მიმიპატიჟა. მამაჩემი თანატოლი და მეგობარი იყო მისი ძმის ვახტანგ რაზიკაშვილისა.

აღარ გამიშვა, დარჩი, მარტოობით გამოყრუებული ბებერი ვარ, ცოტას მაინც ამაძრახებო. ხათრი ველარ გავუტეხე, თანაც ვიმედობდი, ვაჟა-ფშაველაზე გაიხსენებდა რაიმე საინტერესოს. მართლაც დაიწყო თავისი დუხჭირი ცხოვრების მოყოლა.

— აი, შვილო გიგი, სულ ობლობასა და ბეჩაობაში ვარ, რაც თავი მახსოვს. ცოტა რო რაღაცა გავიგე ამ ქვეყნისა, დავობლდი, სიბერ-სიკვდილის ჟამსაც ობოლ-ოხერი ვარ...

...თითისოდენა ვიყავ, დედა რომ მოგვიკვდა. მე და მარიამი, ჩვენი უმცროსი დაც, ავად ვიყავით, ქუნთრუშა გვჭირდა. აქეთ ტახტზე ჩვენ ვიწექით სიცხიანები, იქით ტახტზე — დედაჩვენი. იმას თურმე მუცელი მოსწყდა მძიმე ტვირთისაგან და კვდებოდა. პირი გვიშრებოდა, მალიმალ წყალს ვითხოვდით. მალმალ თავს წამოვყოფდით, თან დედას გავხედავდით. თავზე ვინც ედგა, იმ დედაკაცმა დაუწყო ჩაძახილი, კეკე, კეკეო! ავაიმე, მიშველეთ, მოკვდა ბეჩავიო! მერე რა მოხდა, რამდენხანს ვიავადეთ, აღარ მახსოვს, ის კი მახსოვს, რომ მოვრჩი, ნიკიფორათას ავიარე ფეხშიშველმა, ზამთარი კი იყო, თოვლი. ქალიკმა ექვივნა, მიყვარდა ი დედაკაცი. მომეფერა: გენაცვალე მა კუკუშულას პირზედაო; ბუხართან მიმიყვანა: ფეხებ ნაცარში შახვიე, დაგითბებაო! (თოვლში ფეხშიშველად სიარულმა, სიტიტვლემა და სიცივემა ქნა, ალბათ, ვაჟას სამივე ქალიშვილი რომ უშვილო დარჩა — გ.ხ.). დუმის ნამდნარი ჰქონდის, იმაში ჩამიწყვის ხინკლები.

ვიღაცამ დაიძახა, ქალა მანდ ხომ არ არიო, ჩამოიაროს, მოვიდნენო! თოვლში ჩამოვირბინე ისევ ფეხშიშველმა. მამაჩემი და მამიდა მოსულიყვნენ კახეთიდანა. მამიდა მოვიდა, გულში ჩამიკრა: ვაი, შენს მამიდასა — და მიწაო! რარიგ დამზრალ ფეხები აქვსო. ლამაზი ტყავი ეცვა, იმასი ბოლო შემომახვია ფეხებზე. ფეხისგულებზე ხელები მომიჭირა და ტირილი დაიწყო.

პატარები ვიყავით, მამაც მკაცრად გვექცეოდა, ყოჩაღი კი ვიყავი საქმისთვის. ნათოსი, ნარიჟი შეშა სულ ჩემ ზურგს ამოჰქონდა წყლისპირებიდინა. ვიფიქრე, დიდ ხეებს მოდი ხარებს მოვათრეინებო. მამა ქალაქს იყო წასული. შინ მარტო მე და მარიამი ვიყავით. პატარა ვიყავ, უღელს თავით ვეჭარბე. ხარები შევაბი, გავრეკე. ხეები მქონდა შეთვალიერებული, ცულით დავყველე. უნდა გამომება უღელზე, მაგრამ ხარებს კისრებს ვერ ვახრევინებდი. გავიქეცი, ბალახი დავგლიჯე, დავუყარე და იმათ რომ დაიწყეს ჭამა, მე მოვასწარი და მოკლედ ჩავუბი. ბექში ვიწრო გზა გადმოდიოდა ჩვენი სახლისკენ, იქ ხარებით იშვიათად გადმოჰქონდათ შეშა, ხარებს გადაგვიყრისო. იქ რომ მოვედი, დავეყუდე, ვფიქრობდი, რა ვქნაო, თან მეშინიან, ხარები არ გადამიცვივდეს, თან მინდა, რომ შეშა კარებზე მივიტანო. კაი ხარები იყვნენ, ჭკვიანები. ქვემოთი ხარი წინ წამოვიყვანე, ზემოთას ვუხევდი და ისე ნელნელა გამოვიყვანე. მამა რომ მოსულიყო, შინ არ ვიყავი, მეზობლებს ეკითხებოდა თურმე: „ვინ იღვთიანა, ვინ მოუტანა ბაღლებს შეშაო“. „არაო, ჩვენ არავის გვიშველია, თავად მოაზიდვინა ხარებს გულქანმაო“, — ეთქვათ.

ვუყვარდი მამასა, აზრიანი ხარო. ხშირად იცოდა ჩემთვის კითხვა: ესე რომ გავაკეთოთ, შვილო, როგორ იქნებაო? თავად მამას საქმე არ ეხერხებოდა. სულ მე მაქებდა. თქმაც იცოდა: ამას კიდევ რამეს უნდა დაემდუროთ, თქვე ყურუმსაღებოო!

ყოჩაღი ვიყავ, გულადი, მამასა ვგავდი... ათის წლისა ვიყავ, ძროხები მოვკარგე. დაღამდა. ვეძებ, რაღას ვიპოვი. ხმელ წიფელთან შუქები რაღაცა შევნიშნე. მომეჩვენა, რომ თვალებს ანათებდა რაღაცა. ვიფიქრე მგლებიაო. დავავლე ქვებს ხელი, დავაყარე, თან ვუყვიროდი: დაიკარგეთ მანდედანაო, თქვენ ვერ შემაშინებთო! რომ აღარ წავიდნენ, შევეჭვდი, ნეტა რა არისო. მივედი და ფუტურო ყოფილა. საქონელი ვიპოვე, მოვრეკე, დავწველე და ჩემი „მგლების“ ამბავი ვუამბე მამასა. მამამ იცინა და შემაქო: ყოჩაღი მყევხარო...

...ხვნის დროს მეხრედ ყოველთვის მე ვყავდი მამასა. ძალიან მარჯვე ვიყავ. თავად გუთანი ეჭირის, გუთნისდედა იყვის. გუთნის გამართვაც ვერ იცოდა, მაგრამ გამართავდა როგორღაც, თავისებურად, შევაბამდით ხარებს და შესძახებდა:

— ჰო, ღილა! ჰო, ჯვარელა! აბა თქვენი ჭირიმეთ! აბა, ჩემო ხარებო!

ადიდებულ ჭიჭახევას ბექი მოენგრია და გოგირდიანი წყალი ჟონავდა თურმე. მამა გახარებული ჩამოვიდა შინა და მითხრა: აბა, ჩემო ქალო, წერაქვი წავიღოთ და გამოვთხაროთ, იქ აუცილებლად გოგირდის წყალი გამოვაო.

აბაზანებისთვის კარგი იქნებაო, თქვა. მერე ქოხი გაიკეთა და აბაზანები მიიღო. ძალიან კმაყოფილი იყო. ამის შემდეგ ქარებისაგან დაავადებულნი, დახუთულნი დაიარებოდნენ ამ წყალზე სამკურნალოდ. იქა სდგამდნენ ფოთლის ქოხებს, მოჰქონდათ საარაყე ქვაბები, კასრები და აბაზანებს იღებდნენ. ბევრი ადამიანი გამოაჯანსაღა.

— მამას ნადირობა ძალიან უყვარდა. მეც დავყავდი სანადიროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულაკურდღულაში იფნებზე სხდებოდნენ ქედნები. იქ ჩავუსაფრდებოდით ხოლმე და ის რო ესროდა და ჩამოცვიოდა აფართხალებული ქედნები, იმათ წამოსაკრეფად მე გამოვვარდებოდი.

მაღაროსკარს ან ახლომახლო სოფლებში როცა მიდიოდა, ხანდახან მეც გამიყოლებდა — ცხენის გავაზე შემომისვამდა. შინისკენ მომავალნი თევზაობას ვიწყებდით — მე ცხენი მომყავდა აღვირით, მამა ბადეს ისროდა არაგვში.

...კიდევ იცი რატომ ვუყვარდი მამასა? ძალიან ნიჭიერი ვიყავი. ერთხელ მწყემსად ნამყოფი ძალიან დამასველა წვიმამ, გამყინა. მაშინა ვთქვი: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოვედ წვიმადა, რომ ვყოფილიყავ მუდამა ღრუბელთ გულმკერდის მძივადა“. შინ რომ მოვედი, მამას ვუთხარი, აი, ესე ვთქვიო. მამას გაუკვირდა, გაუხარდა, ჩემი ნათქვამი მაშინვე ჩაიწერა და სხვაც კიდევ მიუმატა. მამა სიკვდილის წინაც თურმე იმასა დარდობდა, გულქანი დამრჩა უსწავლელიო. ძალიან უნდოდა, რომ მე მესწავლა.

იმ ღამეს კიდევ ბევრი რამ მიამბო გულქანმა. ბევრი რამის ჩანიშვნა და დახსომება ვერ შევძელი. წამოვედი იმ პირობით, რომ შემოდგომაზე მოვინახულებდი. აღარ მომიხერხდა ასვლა, სამაგიეროდ ვიღაცა მაწანწალა ნაძირალები ასულიყვნენ — ბიჭი და გოგო. კარს მისდგომოდნენ, იქნება ღამე გაგვათევინოთ, გულქანს პურიც ეჭმია, იმ ღამეს მოესვენებინა.

გულქანს მკერდზე ტყავის პატარა ჩანთა ეკიდა თასმით. მეცა ვკითხე მაშინ, რა არის ეგ, რა გკიდია-მეთქი. „პენსიის ფულებს ვინახავ შიგა, შვილო, ჩემ სამარხსაო“, — ჩაცინებით მიპასუხა. იმათაც უკითხიათ და იმათთვისაც ეგრე უპასუხნია. მეორე დილით, მათთვის რძის ადუღებას რომ აპირებდა თურმე, გაუძვრია იმ არაკაცს წელზე დაკიდებული დიდი დანა, თავში ჩაუცხია გულქანისათვის, ის ჩანთა აუჭრია და გაქცეულან. ძლივს გადაარჩინეს. დუშეთის საავადმყოფოდან ძმას, ვახტანგ რაზიკაშვილს პირდაპირ ჩრგალში წაეყვანა და მას მერე იქ იყო. იქ ხშირხშირად ვნახულობდი.

ერთხელ ისეთ დროს მივედი, ცუდად იყო, ლოგინში იწვა. გარეთ ხმაური გაისმა — ექსკურსიამძღოლს გულქანის სანახავად მოუდიოდა ხალხი. მითხრა, გადი, უთხარი არ შემოვიდნენ, ლოგინში მაინც მომასვენონო, ვაჟას მუზეუმი ნახონ, მე რა სანახავი ვარ, რას მათვალიერებენო! გავედი, გავაბრუნე ის ვიღაცეები. როცა შემოვბრუნდი, ჩანს მაინც ეუხერხულა, მითხრა:

„ხასიათში მამასა ვგავარ, მძიმე იყო მამა, მძიმე ხასიათისა. თვალებიც რაღაცნაირები ჰქონდა. როცა არაზე ჯავრობდა, დამშვიდებული იყო, ლამაზი თვალები ჰქონდა, მომწვანო ფერისა. როცა გაბრაზდებოდა, აი, დუშმანთა, თვალებში ვერ დაჰკვლევდი...

გულქანმა მითხრა, როცა რაღაცა მეხედვება, ცუდი მომელის, მამა მესიზმრებაო. ცული რომ მომპარეს, იმ წინა ღამესა ვნახე მამა, ხევიდან მოდიოდა, დამიძახა: გადადი, ქალავ, ცული წამოიღე, აიქითა გდიაო.

**1989** წლის თებერვალში ძალიან ცუდად გამხდარიყო გულქანი. სასწრაფოთი ჩაუყვანიათ დუშეთის საავადმყოფოში. „წინა ღამეს, თუმცა წინა კი არა, უკანასკნელ ღამეს სიზმარი უნახავს გულქან რაზიკაშვილს, ვაჟა-ფშაველას ქალიშვილს. დუშეთის საავადმყოფოში მწოლარს თავს წამოსდგომია მამამისის ახოვანი ლანდი და წყრომით უთქვამს, აქ რას აკეთებ, ქალშავავ, ადექ და ფუძეზე წადიო. მამის სიტყვა ყოველთვის კანონი იყო გულქანისათვის. იმასაც ატყობდა, ექიმები ვერაფერს რომ ვერ შველოდნენ მის სიძაბუნეს. საუკუნეს მიტანებულს ეს არც უკვირდა. არც წუწუნებდა. ყველაფერი ბუნების წესზედა მჭირსო. ჰოდა, ამდგარა და ჩრგალში, მამაპაპისეულ კერაზე ფარფატით აუტანია თავის გამხუბუქებულ სხეულში ძლივსძლივობით შეკავებული სული. იქ კი გამხიარულებულა, ფანდურიც აუჟღარიალებია, თავის მამის ლექსებიც უთქვამს, ვაი, რომ უკანასკნელად.

იმ ღამით ბუხრიდან ამოსულ ცისფერ კვამლს გაჰყოლია მისი ბოლომდე ჩაფერფლილი სული.

**გიგი ხორნაული**

## ვულოცავთ!




# რაჭა შემაყვარა

გიგა ჯაფარიძის 75 წლის იუბილე თბილისში გადავიხადეთ.

რამდენჯერ მიფიქრია, ბატონი გიგას მსგავსი ერისკაცი, მისნაირი გულმხურვალე და მრავალმხრივ ნიჭიერი ხელოვანი, თავის წინაპრების მიწაზე ესოდენ შეყვარებული კაცი საქართველოს ყოველ კუთხეს რომ მისცა ქომაგად და საამაყოდ, ჩვენი საქმე ბევრად უკეთესად იქნებოდა-მეთქი.

მახსოვს, მრავალი წლის წინათ ბატონი გიგას მეფე ლირს რა ოვაცია ხვდა წილად მარჯანიშვილის თეატრში. იცით, რას ამბობდა ის ოვაცია? სწორედ იმის მადლიერება, ნატვრა და წადილი იყო, ზემოთ რომ ვთქვი. ტაშს უკრავდნენ საერთოდ გიგა ჯაფარიძეს, მის ერისკაცობას, მის ინტელიგენტობას, მის უანგარობას და, ცხადია, ნიჭს, რომელსაც ღმერთი უბოძებს ადამიანს იმის მიუხედავად, დედაქალაქში ცხოვრობს იგი თუ სადმე მთებში მიყუჟულ სოფელში.

მეორე პატარა ეპიზოდიც მინდა გავიხსენო:

უნგრეთში ვახლდი ახალგაზრდა მოცეკვავეთა და მომღერალთა ანსამბლს. სცენაზე გამოდიოდა მშვენიერი დარბაისელი ახალგაზრდა კაცი უნგრელთათვის უცხო ინსტრუმენტით – გუდასტვირით ხელში.

შალვა ჯაფარიძე იყო – ბატონი გიგას უმცროსი ძმა.

რა ღირსეულად ეჭირა თავი, მისი ოჯახის, ჯიშის, მოდგმის კეთილშობილების განსახიერება იყო. მე ესეც გიგას დამსახურება მგონია.

ღმერთმა გიშველოთ, ჯაფარიძეებო, ამდენი საქვეყნო, საკარგყმო საქმეების აღსრულებისათვის. თქვენმა სიკარგემ რაჭა შემაყვარა. იქ ყველა თქვენნაირი კარგი მგონია.

**თქვენი ნარგიზა მგელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ეკა ბაქრაძე

### X X X

სარკოფაგების მკაცრი დუმილი
ყაყაჩოს ვკითხე – არ გამიმხილა,
თითქოს სიცხადე დააკლდათ სიტყვებს
ცამ ისე უნდოდ შემომღიმილა.

ვერ ამოვავსე შენი სამყარო
ყოფნა-არყოფნის ძველი იგავით,
თითქოს იყავი და არც იყავი
ვგრძნობდი, მესმოდა და მიხაროდი,
თითქოს უხსოვარ დროიდან დღემდე
შენს შესახვედრად მოვიჩქაროდი...

ვერ დაგითბუნე სული ზღაპრებით
ვერ იქნა თავი ვერ შეგაყვარე,
და მოლოდინის სველი აფრები
გულზე ყაყაჩოდ შემოგაყარე.

ვერ ჩამოგყევი საფლავის კართან,
ვერ ამოვგმანე მწუხრის ბზარები.
ჩამოგაგლიჯე დუმილის კალთა
და ფეხაკრეფით მივიპარები.

შენი მწუხარე სარკოფაგიდან...
რატომ არ მეტყვი, ვინ ხარ, რა გინდა?
მითხარი მაინც, რამე მითხარი,
როდემდე უნდა იყო ასეთი
უმოწყალო და განუკითხავი?!

სარკოფაგებით დანაღმულ ველზე
ყაყაჩოების სევდა ვიხილე...
შენი ამბავი ვის აღარ ვკითხე –
არ გამიმხილეს, არ გამიმხილეს!

### განწყობილება

თავნებ წვიმას ქვაფენილი დაეღარა,
ცის სილურჯე ბლუჯა-ბლუჯა
დაეღვარა,
ღრუბელს დარდი გაეყარა,
ქარს ფარ-ხმალი დაეყარა,
ქარი გვერდზე გამდგარიყო.
მერე, როცა გადიკარა,
როცა წვიმამ გადაიღო,
ცისარტყელამ შვიდი პეშვი
ცის ლამბაქზე გადაიღო,
თითქოს ღმერთმა უკვდავების
ბოლო კადრი გადაიღო...
სულში ქარი ჩამდგარიყო,
თვალში ცრემლი ჩამცხრალიყო,
უმიზეზო სიხარულის
ამინდები დამდგარიყო,
დალოცვილი ეს ქვეყანა
ზღაპრად თქმული
ზღაპარ იყო...

### X X X

ჩავკეტავ სარქველს, სურვილს
სათქმელს გადავურაზავ,
ჩამოაგლიჯეს ერთგულებას სველი
კალთები.
პროზაულია ახლა ყველა სიტყვა და
ფრაზა
და სურვილებსაც სულ ტყუილად
ვეკამათები.

რა საჭიროა აღსარების ლექსად
განდობა,
ვის დაუნამავს ანდა თვალებს ახლა
ღალატი?
ვინ იცის, იქნებ პატიებას ითხოვს
პანდორა
და დედამიწას შეავედრებს სახეს
ანატირს.

პროზაულია... ყოველი დღე რაღაცას
მტაცებს,
მოახლოებულ კვარცხლბეკისკენ არ
დავეცემი...
დრო ულმობელი კალმახივით დაუგებს
ფაცერს,
თვითონ პროკრუსტეს ელოდება ქვის
სარეცელი.

### აღსარება

აკრძალული სიყვარული დავწვი,
(თითქოს სულსაც დატყობია შვება)
და თოვლისფრად შეფერილი ღაწვი
ცრემლიანი მოგონებით შრება...

დავთმე ერთი ახირებაც კიდევ
და მოთენთილ ტკივილებთან ვწევარ,
თვით სიმართლეს თვალი თვალში
ვკიდე –
გავეშებულ, დაუნდობელ მწევარს...

წარსულ დღეთა ვარდისფერი კადრი
შემრჩა, როგორც მოგონებას მორჩი.
ღმერთო, ოღონდ საყვედურს არ
გკადრი,
ნურც მიხილავ დაცემულს და
მორჩილს...

აკრძალული თამაშების ნუსხა
ვეღარ მილბობს გამოფიტულ ფესვებს,
ორჭოფული შეკითხვებით მნუსხავს
– აღარა წერთ, პოეტესა, ლექსებს?

შემოდგომის შეციებულ წვიმას
და გაძარცვულ ღამის კვნესას ვენდე,
ვერც ერთ სახელს ვერ ვუძებნი იმას,
რაც დანაღმულ სულს მოჰქონდა
დღემდე...

სიყვარული ფოტოსავით დავწვი
და ფერებსაც შეეცვალა ნირი.
სულში კინო-კადრებივით მაწვიმს
შემოდგომის უფერული ფირი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადაც ნიჭია...



თამარ ამირანაშვილი, რომლის გრაფიკულ ნამუშევრებსაც დღეს გთავაზობთ, პროფესიით გერმანისტია. თბილისის ფიზკულტურის აკადემიასთან არსებულ უცხო ენათა ინსტიტუტში ასწავლის გერმანულ ენას, ფლობს ფრანგულ და პოლონურ ენებს. ხატვა მისი გატაცებაა.

თვითონ ბუნებით მოკრძალებული თამრიკო არ გეტყვით, რომ ეს მისი დიდი გატაცება ან ჰობია, თუმცა სწორედ რომ ბავშვობიდან ხატავდა. ხატავდა, როგორც ყველა ბავშვი, მხოლოდ ცოტა უკეთ და ცოტა მეტსაც. როცა დედამისი – მხატვარი ელისო ცაბაძე მაგიდასთან იჯდა და მუშაობდა, გოგონაც თავის ფერად ფანქრებს მოიმარჯვებდა, ისიც ხატავდა, მაგრამ ნახატს არავის აჩვენებდა – რცხვენოდა.

ერთხელაც, როცა დედამ მისი ნახატები ნახა, კარგა ხანს ყურადღებით ათვალიერა და დანაშაულზე წასწრებულივით თავჩაქინდრული გოგონა შეაქო.

მას შემდეგ თამრიკო მეტი მონდომებით შეუდგა ხატვას და სამხატვრო სკოლაშიც იარა ხუთი წელი.

სკოლა რომ დაამთავრა, რთული არჩევანის წინაშე დადგა.

გერმანული ენა, რომელიც საუკეთესო მასწავლებლის წყალობით ძალიან უყვარდა და გვარიანადაც იცოდა, თუ ხატვა? (იმ დროისათვის უკვე გამოკვეთილი სურვილი – მოდელირების ფაკულტეტი).

საბოლოოდ ენა აირჩია, თუმცა ხატვის სიყვარული ოდნავადაც არ განელებია.

მუშაობს კალამით და ტუშით, ზოგჯერ – აკვარელითაც.

საოცარიაო, – მეუბნება დედა, – როცა ოჯახში ორი კაცი ხატავს, მათ მსგავსი ხელწერა უვითარდებათ, შენი სტილი კი ჩემგან აბსოლუტურად განსხვავებულია.

თამრიკო თვითონაც განსხვავებულია სხვათაგან.

ბევრს ფიქრობს და ცოტას ლაპარაკობს.

ამიტომ თვითგამოხატვას ნახატებში ცდილობს და აღწევს კიდეც. ხატვის სურვილი განსაკუთრებით მაშინ უმძაფრდება, როცა ცუდ ხასიათზეა. ნახატიდან მსუბუქი სევდა გამოსჭვივის, სამაგიეროდ თვითონ უკეთეს ხასიათზე დგება.

ერთი პერიოდი ღამე ელვიძებოდა. წუხდა, წრიალებდა. მერე ჩუმად მივიდოდა მაგიდასთან და ხატავდა.

მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მშვიდად დაძინება.

– თუმცა დიდ მხატვრობაზე არ ვოცნებობ, რომ არ ვხატო, არ შემიძლია. მიყვარს მოდელების ხატვა და შემდეგ ვკერავ კიდეც.

თამრიკო ამირანაშვილი, აწ უკვე ორი ბიჭის დედა, საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს.

– ამ ბოლო ხანებში პარაფსიქოლოგიამ გამიტაცა. ბევრს ვკითხულობ და მინდა ენერგიის მართვა ვისწავლო. სპეციალისტებმა მითხრეს: შენ განსაკუთრებული უნარი გაქვს და მისი სწორად გამოყენება უნდა ისწავლოო.; ბავშვებს ბაღში რომ მივიყვან... – გეგმებს აწყობს ახალგაზრდა ქალბატონი.

საინტერესო ადამიანს იმდენი ჩანაფიქრი აქვს, მათ განსახორციელებლად დრო არასოდეს ყოფნის, მაგრამ ნიჭი მაინც თავისას შვრება.

სადაც ნიჭია, იქ სიცარიელე ვერ გაჭაჭანდება.

ნარგიზა მგელაძე







თამარ ამირანაშვილის ნახატები

გაცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდა

*ფრანგული მოდის კანონმდებელმა ივ სენ-ლორანმა ნახევარი წლის წინ განაცხადა, რომ ჭაბუკობისდროინდელ გატაცებას უბრუნდება და სურს, თავი კვლავ haute couture-ს მიუძღვნას.*



...1957 წელი. სენტ ონორე დ' ეჲლაუს ეკლესია. პარიზი კრისტიან დიორს ემშვიდობება. ტაძარში ადგილები მკაცრად, რანგის მიხედვითაა განაწილებული – პირველ რიგს სამეფო გვარის წარმომადგენელთა, ჰოლივუდის ვარსკვლავებისა და მთავრობის წევრების ზვიადი პროფილები ამშვენებს. შორეულ კუთხეში კი მხრებში ოდნავ მოხრილი, დაბნეულმზერიანი, მაღალი ახალგაზრდა მამაკაცი მიმდგარა. მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ სულ ცოტა ხანში დიორის უზარმაზარი იმპერიის მემკვიდრე გახდება და მსოფლიო მოდის სამყაროში მისეულ „მგრძნობიარე ელეგანტურობის" სტილს დაამკვიდრებს.

წარმატება მას მოულოდნელად ეწვია. 16 წლის იყო ივ სენ-ლორანი, როცა პარიზულ ჟურნალ „ვოგში" კოსტიუმების პირველი ესკიზები გააგზავნა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. 17 წლის ბიჭუნა-საოცრება თავად კრისტიან დიორმა მიიწვია ასისტენტად, ხოლო 21 წლის ასაკში გენიოსად მონათლეს; პირველი დამოუკიდებელი კოლექცია მოდელიერმა 1958 წელს გამოუშვა და მთელი მსოფლიო აღაფრთოვანა იმ საოცარი სილუეტით, რასაც მოგვიანებით „ტრაპეცია" ეწოდა.

დიორის მრავალმილიონიანი იმპერიის შენარჩუნება ივ სენ-ლორანმა, სამწუხაროდ, ვერ შეძლო. 1960 წელს იგი ჯარში გაიწვიეს, საიდანაც, როგორც სამწყობრო სამსახურისათვის გამოუსადეგარი, ერთი წლის შემდეგ დაითხოვეს. შინ დაბრუნებულს კი მოდების სახლში ახალი მეპატრონე – ახალგაზრდა გენიოსი მარკ ბოანი დახვდა.

საკუთარი მოდელების სახლი ივ სენ-ლორანმა პიერ ბერჟესთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

1961 წელს დააარსა და უმალვე მოექცა დიდების მწვერვალზე.

„მე იმ თაობას და სამყაროს მივეკუთვნები, ელეგანტურობას რომ უხდის ხარკს, – აღნიშნავს იგი მოგვიანებით, – მაგრამ მთელი ამ წლების მანძილზე წარსულისადმი სიყვარულსა და მომავლისაკენ სწრაფვას შორის ვიხლიჩებოდი, იმიტომ, რომ ვიცნობ ერთს და ვგრძნობ მეორის არსებობას“. სწორედ წარსულისადმი ღრმა სიყვარულის გამოხატვაა მისი მოდელები სახელწოდებით: „ესპანელი ქალები“, „რუსული ბალეტი“ და „ჩინელი ქალები“, მომავლისკენ ლტოლვას კი შესანიშნავად ასახავს ვინილისაგან დამზადებული ლაბადები და გამჭვირვალე ბლუზები, მოგვიანებით – ქალის სმოკინგები, რითაც ჩვეულებრივი მამაკაცური ატრიბუტები ქალურობისა და სინაზის სიმბოლოდ აქცია.

დღეს, ისევე როგორც ორმოცი წლის წინ, დიდი მოდელიერი მსოფლიო მოდის სამყაროში დახვეწილობასა და მომხიბვლელობას, შარმს ამკვიდრებს, უდიდეს პატივს სცემს haute couture-ს და პარიზის მოდების სახლში „უცხო ტომელთა“ შემოჭრის სასტიკი წინაამდეგი გახლავთ.



გთავაზობთ რამდენიმეს მისი მოდების კოლექციიდან.

თარგმნა **მანანა იმესაშვილმა**

# ჰორმონალური კონტრაცეპცია და ქალის ჯანმრთელობა

UNFPA/WHO National Forum on Family Planning

**ჰორმონალური ჩასახვისსაწინააღმდეგო აბები მთელს მსოფლიოში მეტად გავრცელებული, უსაფრთხო და ეფექტური კონტრაცეპციული საშუალებებია. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიოში აღნიშნულ აბებს (ორალურ კონტრაცეპტივებს) იღებს 120 მილიონზე მეტი ქალი.**

***

ჩასახვისსაწინააღმდეგო აბების პოპულარობა, მათი მაღალი ეფექტურობის, მიღების ადვილი და მოსახერხებელი თვისებებითაა განპირობებული. ამ მცირე ზომის აბების წყალობით, მილიონობით ქალი ყოველდღიურად თავისუფლდება არასასურველი ორსულობის შიშისაგან.

ჰორმონალური კონტრაცეპციის იდეა 2000 წლის წინათ წარმოიშვა, მაგრამ მისი გამოყენება ბევრად გვიან დაიწყო.

ჩასახვისსაწინააღმდეგო აბების ყოველდღიური მიღებისას, მენსტრუალური ციკლის ხასიათი არ იცვლება, მაგრამ ჰორმონების გამოყოფის დაქვეითების გამო, საკვერცხეებიდან კვერცხუჯრედის გამოთავისუფლება არ ხორციელდება, შესაბამისად არ ხდება მისი განაყოფიერება და ორსულობა. ასეთია ამ პრეპარატების მოქმედების ძირითადი მექანიზმი. მოქმედების ამ მექანიზმიდან გამომდინარე და უშუალოდ საშვილოსნოს ლორწოვანსა, კვერცხსავალ მილებზე ზეგავლენის გამო, ჰორმონალური კონტრაცეპტივების ეფექტურობა თითქმის 100 პროცენტია. აბების მიღების შემთხვევაში, ორსულობის მიზეზი მხოლოდ მათი არასწორი ინდივიდუალური შერჩევა და პრეპარატის მიღების გამოტოვებაა.

ჰორმონალური პრეპარატების კონტრაცეპციის მიზნით ხმარებას თან ახლავს ისეთი დაავადებების სიხშირის შემცირება, როგორიცაა საშვილოსნოს დისფუნქციონალური სისხლდენები, მცირე მენჯის ღრუს ორგანოთა ანთებადი დაავადებები, საშვილოსნოსგარეშე ორსულობა; სარძევე ჯირკვლების კეთილთვისებიანი სიმსივნეები, საშვილოსნოს მიომა, საკვერცხეების სიმსივნე და კისტა. რაც შეეხება საკვერცხეების კიბოსა და საშვილოსნოს ლორწოვანის სიმსივნეს, მათი სიხშირე მკვეთრად ქვეითდება. ამ სიმსივნეების განვითარების პროფილაქტიკური ეფექტი დამოკიდებულია პრეპარატის მიღების ხანგრძლივობაზე და მათი მიღების შეწყვეტისას გრძელდება კიდევ 10 წლის განმავლობაში.

ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა რომ **იმ ქალებს, რომლებიც ჰორმონალურ კონტრაცეპტივებს წლების განმავლობაში იღებდნენ, არ აღენიშნებოდათ გარეთა სასქესო ორგანოებისა და სარძევე ჯირკვლების სიმსივნის არც ერთი შემთხვევა, მაშინ, როდესაც კონტრაცეპციის სხვა მეთოდების გამოყენებისას, ეს სიმსივნეები აღინიშნებოდა იმავე სიხშირით, როგორც იმ ქალებში, რომლებიც არ იცავდნენ თავს ორსულობისაგან.**

ჰორმონალური კონტრაცეპტივების მიღებისას, მენსტრუალური ციკლი რეგულარული ხდება, ქვეითდება მენსტრუაციის დღეებში ტკივილის ინტენსივობა. გარდა ამისა, ეს პრეპარატები წარმატებით გამოიყენება ენდოკრინული მიზეზებით გამოწვეული უშვილობის სამკურნალოდ.

პრეპარატის მიღების შეწყვეტისას ორსულობა შესაძლებელია 1-2 თვის შემდეგ – აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში აბების მიღების შემდგომი ორსულობა გაურთულებლად მიმდინარეობს.

ჩასახვისსაწინააღმდეგო ჰორმონალური საშუალებები არ ენიშნებათ ქალებს ორსულობის ან ორსულობაზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე ისეთი სერიოზული დაავადებების დროს, როგორიცაა სისხლძარღვთა თრომბოემბოლია, მიოკარდიუმის ინფარქტი, ღვიძლის კიბო და ციროზი.

ყოველწლიურად ჩასახვისსაწინააღმდეგო აბების ხარისხი უმჯობესდება და იხვეწება. ამჟამად არსებული პრეპარატები კი გამოირჩევა ჰორმონების დოზის სიმცირითა და მაღალი ეფექტურობით.

ჰორმონალური კონტრაცეპტივების მიღების დაწყებამდე მიზანშეწონილია და აუცილებელია გინეკოლოგიური და სარძევე ჯირკვლების გამოკვლევა. რის შემდეგაც ექიმი ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით შეარჩევს კონტრაცეპტივს. შემდგომში კი მიზანშეწონილია რეგულარულად 3 თვეში ერთხელ ქალის განმეორებითი ვიზიტი ექიმთან, დანიშნული კონტრაცეპტივის შესაბამისობის დასადგენად.

კომბინირებული ჩასახვისსაწინააღმდეგო აბებისაგან განსხვავებით ე.წ. „მინი-პილი" შეიცავს მხოლოდ პროგესტერონის ანალოგის მიკროდოზებს. ეს პრეპარატები მიზანშეწონილია მეძუძური დედებისათვის, რადგან რძის გამოყოფასა და ხარისხზე არ მოქმედებენ.

გახანგრძლივებული მოქმედების ჰორმონალური კონტრაცეპტივებიდან აღსანიშნავია პროგესტინ-შემცველი იმპლანტანტი – ნორპლანტი; რომელიც კვალიფიცირებული ექიმის მიერ ინერგება წინამხრის ან ბარძაყის შიგნითა ზედაპირზე რამდენიმე წლით. ასეთ შემთხვევაში საჭირო არ არის ჩასახვისსაწინააღმდეგო საშუალებების ყოველდღიური მიღება, რადგანაც ჩანერგვის შემდეგ 5 წლის განმავლობაში იცავს ქალს მოსალოდნელი ორსულობისაგან. პრეპარატის ფონზე დაორსულების შანსი მინიმალურია და იგი მოსალოდნელია მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

ხანგრძლივი მოქმედების მქონეა აგრეთვე საინექციო პროგესტინ-შემცველი პრეპარატი დეპო-პროვერა, რომელიც დღეისათვის 80-მდე ქვეყანაში გამოიყენება. გახანგრძლივებული მოქმედების ჰორმონალური კონტრაცეპტივების მოქმედების მექანიზმი იგივეა, როგორიც ჩასახვისსაწინააღმდეგო აბებისა. დეპო-პროვერას 1 ინექცია (150 მგ-ის) მოქმედება გრძელდება 3 თვის მანძილზე. პრეპარატის მიღების შეწყვეტის შემდეგ ორსულობა მოსალოდნელია 5,5-9 თვის შემდეგ. ეს პრეპარატი განსაკუთრებით მისაღებია მეძუძურ ქალთათვის და მათთვის, ვინც არასასურველ საყოფაცხოვრებო პირობებში ცხოვრობს, სადაც პირადი ჰიგიენის დაცვა გაძნელებულია.

დაუცველი, შემთხვევითი სქესობრივი აქტის შემთხვევაში ორსულობის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა ე.წ. „ავარიული" კონტრაცეპცია. ეს მეთოდი განსაკუთრებით რეკომენდირებულია მათთვის, ვინც ეწევა არარეგულარულ სქესობრივ ცხოვრებას ან გახდა ძალადობის მსხვერპლი. ასეთი პრეპარატების მიღება ექიმის კონსულტაციის გარეშე არ შეიძლება, მაგრამ მთავარია ქალმა იცოდეს, რომ არაუგვიანეს სამი დღისა სქესობრივი აქტიდან უნდა მიმართოს ექიმ-რეპროდუქტოლოგს.

ჰორმონალური კონტრაცეპტივების გამოყენებისას მათი მაღალი ეფექტურობა, შექცევადობა და უსაფრთხოობა მეუღლეებს აძლევს საშუალებას, თავად გადაწყვიტონ სასურველ ბავშვთა რაოდენობა, დაიცვან ორსულობათაშორისი ინტერვალი, რაც საწინდარია ჰარმონიული ოჯახის შესაქმნელად და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

**თამარ მაღულარია,**
**რეპროდუქციული ფუნქციის რეგულაციის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნ. კანდიდატი.**

# ❋ კიბოს განვითარებას თავიდან აიცილებთ, თუ... ❋ ❋

გინეკოლოგიური ენდოსკოპიური გამოკვლევისას იყენებენ სპეციალურ ოპტიკურ ხელსაწყოს – კოლპოსკოპს, რომელიც 8-40-ჯერ ადიდებს გამოსახულებას. მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება საშვილოსნოს ყელზე და საშოს თაღებზე თვალით უხილავი პათოლოგიის დადგენა. კოლპოსკოპია ავლენს ქალის სასქესო სისტემის ქვედა ნაწილების დარღვევებს დაავადების ადრეულ პერიოდშივე. კეთილთვისებიან თუ ავთვისებიან პათოლოგიურ ცვლილებათა დეტალური ანალიზის საშუალებას იძლევა და რეპროდუქტოლოგებს, მეან-გინეკოლოგებს და ონკოგინეკოლოგებს ამ დაავადებათა დროულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობის სწორი მეთოდების შერჩევაში ეხმარება.

კოლპოსკოპიას არ გააჩნია უკუჩვენებები.

მსოფლიოს რიგ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, სასქესო ორგანოების კიბოთა შორის საშვილოსნოს ყელის კიბო, სიხშირის მიხედვით, პირველ ადგილზეა. კოლპოსკოპიური გამოკვლევის საშუალებით შესაძლებელია კიბოსწინარე მდგომარეობათა დიაგნოსტიკა მათი განვითარების ადრეულ ეტაპებზე. პოტენციური და ჭეშმარიტი კიბოსწინარე მდგომარეობათა დადგენა და მათი დროული მკურნალობა დადებით შედეგებს იძლევა.

შეუიარაღებელი თვალით შესაძლებელია დავინახოთ უკვე შესამჩნევად განვითარებული საშვილოსნოს ყელის კიბო გარეგანი ზრდით (ე.წ. „ყვავილოვანი კომბოსტოს" ფენომენი), რომელიც ხშირ შემთხვევაში ოპერაციულ ჩარევას უკვე აღარ ექვემდებარება. ასევე, ხშირად აჭრელებული საშვილოსნოს ყელი უსაფუძვლო განგაშის მიზეზი ხდება. ამ მხრივ კოლპოსკოპიური გამოკვლევით დავინახავთ რეალურ სურათს.

კოლპოსკოპიური გამოკვლევის მიზანია პოტენციური და ჭეშმარიტი კიბოსწინარე მდგომარეობათა დროული გამოვლენა, შემდგომი მიზანდასახული გამოკვლევების ჩატარება, მკურნალობის საჭირო ტაქტიკის შერჩევა და კოლპოსკოპიური კონტროლი დინამიკაში.

უშვილობის პრობლემათა განხილვის დროს რიგ კოლპოსკოპიურ დიაგნოზთა გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ მკურნალობის სწორი ტაქტიკა. ყელის არხის ლორწოვანის პათოლოგიური ცვლილებები სპერმატოზოიდების არხში შეღწევას და მათ გადაადგილებას უქმნის ბარიერს. სპერმატოზოიდებზე დამღუპველად მოქმედებს ლორწოვანის მჟავე გარემოს PH-ის მკვეთრი შეცვლაც, რასაც მრავალი ინფექციური დაავადება განაპირობებს. ამ მხრივ გასათვალისწინებელია კოლპოსკოპიურად სპეციფიკური უბნების აღმოჩენა. ცერვიკოსკოპიულმა გამოკვლევამ ნათელი მოფინა რიგ შემთხვევებში არსებულ უშვილობის მიზეზებს. ყელის არხში აღინიშნა სხვადასხვა ფორმისა და ზომის სტრუქტურული წარმონაქმნები, რაც ფორმას უცვლის ყელის არხს (საშვილოსნოს ყელის კისტები), სარქვლის ფუნქციას ასრულებს (სარქვლისებური პოლიპი) ან ავსებს ყელის შესავალს და, გარდა უშვილობისა, იწვევს დისკომფორტს, ტკივილს, ახანგრძლივებს მენსტრუაციას. პოლიპის ფეხზე შემოგრეხა, მისი სისხლით მომარაგების მოშლა და სისხლძარღვთა მთლიანობის დარღვევა იწვევს სისხლდენას, რომლის დიაგნოსტირებაც მხოლოდ ცერვიკოსკოპიული გამოკვლევის შედეგად ხერხდება.

ამგვარად, კოლპოსკოპიური გამოკვლევა საკმაოდ ინფორმატიული და მნიშვნელოვანი გამოკვლევაა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საშვილოსნოს ყელის და საშოს დაავადებებზე სრული წარმოდგენის შექმნა. პროფილაქტიკური კოლპოსკოპიური გამოკვლევები თავიდან აგვაცილებს ამ დაავადებებით გამოწვეულ შესაძლო გართულებების ჩამოყალიბებას და დინამიკური მეთვალყურეობის ჩატარების შემთხვევაში მკურნალობის ოპტიმალური მეთოდების შერჩევის საშუალებას მოგვცემს. ბოლო დროს კოლპოსკოპიის დიაგნოსტიკური ღირებულება დღითიდღე მატულობს. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კოლპოსკოპია ყველა პაციენტის გამოკვლევის აუცილებელ მეთოდად ითვლება, რაც უნაყოფობის მიზეზის დადგენის გარდა, საშვილოსნოს ყელისა და საშოს ავთვისებიანი სიმსივნეების პროფილაქტიკას ან ნაადრევ გამოვლენას ისახავს მიზნად. კოლპოსკოპიური გამოკვლევით გასინჯულ ქალთა 0,9 პროცენტს გამოუვლინდა საშვილოსნოს ყელის კიბო (მე-2, მე-3, მე-4 სტადია), 0,9 -ს „0" და I სტადია, 2,7-ს ჭეშმარიტი კიბოსწინარე მდგომარეობები, რამაც მკურნალობის ოპტიმალური ტაქტიკის შერჩევის და ეფექტური მკურნალობის ჩატარების საშუალება მოგვცა ყველა შემთხვევაში.

ყველა ქალს უნდა ახსოვდეს, რომ აუცილებელია ჩაიტაროს კოლპოსკოპიური გამოკვლევა 6 თვეში ერთხელ, რითაც იგი თავიდან აიცილებს ზემოთაღნიშნულ დაავადებათა განვითარების, ჩამოყალიბების და რიგ გართულებათა წარმოქმნის შესაძლებლობას.

**ირაკლი ბერაძე**
**ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმი-რეპროდუქტოლოგი, საშვილოსნოს ყელის სპეციალისტი**

ექიმი გვირჩევს

# დაეხმარეთ ღვიძლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველამ იცის, რომ ადამიანს გულის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია, ღვიძლის მნიშვნელობაზე კი ბევრმა არაფერი იცის, უფრო მეტიც, გვხვდებიან ისეთებიც, ვინც არ იცის, სად მდებარეობს იგი.

მითოლოგიური წარმოდგენებით კი სწორედ ღვიძლის მეშვეობით ხდებოდა ციურ სხეულებსა და მიწიერ არსებებს შორის კავშირი. თუ მეცნიერულად მივუდგებით ამ საკითხს, ირკვევა, რომ ეს ორგანო უნიკალურია და მისი ამოკვეთის შემდეგ ადამიანის სიცოცხლე შეუძლებელი ხდება. სწორედ ამიტომ, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ღვიძლის დაავადებებს, რომელთაგანაც დაზღვეული არავინაა.

ღვიძლი მოთავსებულია მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში. ნორმალურ მდგომარეობაში მისი კიდეები ნეკნთა რკალს არ სცილდება და ფილტვებიდან გამოყოფილია დიაფრაგმით. ადამიანის ღვიძლი შეიძლება შევადაროთ დიდ ქიმიურ ფაბრიკას, სადაც უამრავი ნაერთი მზადდება. ყველაფრისაგან, რაც კი ჩვენს ორგანიზმში ხვდება, ღვიძლი აწარმოებს ნაღვლის პროდუქციას, რაც ხელს უწყობს ნაწლავებში საკვების გადამუშავებას. ღვიძლის წილ მოდის, აგრეთვე, ორგანიზმის გათავისუფლება შხამებისა და სხვადასხვა მავნე ნარჩენებისაგან, რომლებიც განუწყვეტლივ წარმოიქმნება ნივთიერებათა ცვლის პროცესში. ასე რომ, ღვიძლს საკმაოდ ბევრი სამუშაო აქვს, დახმარებას არსაიდან ელოდება, საშიშროება კი ყოველი მხრიდან მოსალოდნელია. პირველ რიგში, ესაა – ალკოჰოლი და ტოქსინები, რომლებიც ნაწლავებში წარმოიქმნება, აგრეთვე სამკურნალო პრეპარატების უსისტემო ხმარება (თვითმკურნალობა), ჰაერი, რომელიც გაჯერებულია მავნე გამონაბოლქვებით (განსაკუთრებით დიდ ქალაქებში), წყალი, რძისა და ხორცის პროდუქტები, რომლებიც შეიცავს მესაქონლეობაში გამოყენებული ჰორმონებისა და ანტიბიოტიკების ნარჩენებს. ასეთი მასიური „ქიმიური შეტევა" თავის შედეგებს იძლევა. – მძიმე ჰეპატიტებისა და ციროზების შემთხვევები იმ ადამიანებშიც კი ხშირია, რომლებიც არ ეკუთვნიან რისკის ჯგუფს (არ ეტანებიან ალკოჰოლს, არ მუშაობენ მავნე საწარმოებში); ე.ი. ის დოზებიც კი, რასაც ვიღებთ ჰაერიდან, წყლიდან და საკვებიდან, სავსებით საკმარისია ღვიძლის დაავადებების განვითარებისათვის.

დაავადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია ღვიძლის გადიდება ან დაპატარავება. არსებობს სხვა სიმპტომებიც: კანის ქავილი, პატარა სისხლძარღვოვანი ლაქების გაჩენა, განავლისა და შარდის შეცვლა, ზოგჯერ – ფეხების შეშუპება და სხვ. ღვიძლის დაავადების თავიდან აცილება გაცილებით ადვილია, ვიდრე მათი განკურნება. ამიტომ:

– ეცადეთ უარი თქვათ სპირტიან სასმელებზე ან მათი გამოყენება შეამციროთ მინიმუმამდე;

მედიკამენტები იხმარეთ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

ყავა (თუ ვერ თმობთ) მიიღეთ არაუმეტეს 2-3 ჭიქისა დღეში.

არ მიირთვათ დამწვარი და ძალიან ცხიმიანი კერძები.

ექიმები დიდი ხანია იყენებენ პრეპარატებს, რომლებიც შეიცავს ფოსფოლიპიდებს. მათ შორის ყველაზე ეფექტურია „ესენციალე". ადრე იგი გამოიყენებოდა დაავადებების სამკურნალოდ, დღეისათვის კი – უფრო ხშირად ღვიძლის ნორმალური მუშაობის შესანარჩუნებლად. ამასთან ერთად „ესენციალე" იმ იშვიათ მედიკამენტებს მიეკუთვნება, რომლებსაც, პრაქტიკულად, არა აქვს უკუჩვენებები და გვერდითი მოვლენები. ჩვეულებრივ, პრეპარატს იღებენ 2-2 კაფსულის ოდენობით დღეში სამჯერ, 1-3 თვის განმავლობაში.

ასე რომ; გაუფრთხილდით თქვენს ღვიძლს, ჩაიტარეთ სათანადო პროფილაქტიკა და საერთოდ, გადადით ჯანმრთელი ცხოვრების წესზე.

**ლია ცუცქირიძე,**
**ექიმი-ენდოკრინოლოგი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჯერ ვარდი არ დაგჭკნობიათ...“



ე. არჯევანიძე შვილიშვილთან



სტუდენტებთან ექსპედიციაში

ნოველასავით უნდა დავიწყო, ოღონდ აქვე გაგაფრთხილოთ: ნამდვილი ამბავია, შარშან ლიკანში შევესწარი.

იასამნების ხეივანში მობრძანდება ხანდაზმული, მაგრამ იმპოზანტური, თეთრთმებგაშლილი, ბებერი ლომივით ზვიადი მაესტრო – ოდისეი დიმიტრიადი, თითქოს ზეციურ ხმებს უსმენდეს, თითქოს მიწის ალარაფერი აინტერესებდეს; დამსვენებლები თვალებით მივაცილებთ დიდბატონს, ყველას თავისი გასახსენებელი აქვს. და უცებ, ბილიკზე საპირისპირო მხრიდან ქალბატონი გამოჩნდა, ახალგაზრდა არ ეთქმის, მაგრამ ჯეირანივით შემართული მიდის, ნუშისგულივით თეთრ, უნაოჭო და მშვენიერ სახეზე სიმშვიდე აღბეჭდია.

უცებ მაესტრო ქალის წინ შედგა. რაღაც უთხრა, ხელზე ეამბორა.

ჩამავალი მზე წამით შეჩერდა, თითქოს ამ სურათზე შეუჩერდა თვალი.

„ცხოვრება თეატრია“, – უნებლიეთ გამახსენდა ესპანელი დრამატურგის პიესის სათაური.

მეორე დღეს პროფესორმა ეთერ არჯევანიძემ, ამ სცენის პერსონაჟმა, რომელსაც მანამდეც ხშირად ვხვდებოდი ღირსეული ქალბატონის, დაუვიწყარი ბაბულია თარხნიშვილის ოჯახში, მიამბო:

მუსიკალური ტექნიკუმის გოგონები არც ერთ საოპერო სპექტაკლს არ ვაცდენდით, განსაკუთრებით რომლებსაც ბატონი ოდისეი დირიჟორობდა და, რადგან ბელეტაჟის მეორე ლოჟა გვქონდა ამოჩემებული, ზედმეტსახელად „მეორელოჟელებს“ გვეძახდნენ. წარმოიდგინე, ბატონმა ოდისეიმ ეს ამბავი გაიხსენა და მისი საიუბილეო ბუკლეტიც მაჩუქა წარწერით.

წარწერა ნატიფი და გულისამაჩუყებელი იყო; ისე როგორც ჭეშმარიტ ხელოვანს შეჰფერის.

ახლახანს ქ-ნ ეთერ არჯევანიძეს 80 წელი შეუსრულდა. რომ არა საიუბილეო თარიღი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა ასეთი სიყვარულით აღნიშნა, ვერავინ მისცემდა ვერც ექვს ათეულ წელს.

ეს წლები, მართლაც, რომ სიმდიდრეა ქართული ფოლკლორისტიკის გამოჩენილი მკვლევარის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორის, მრავალი წიგნისა თუ სამეცნიერო ნაშრომის ავტორის, მრავალი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელის, ქ-ნი ეთერ არჯევანიძისათვის, რომელიც 1941 წლიდან სულს და გულს აქსოვს პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობაში.

ცოდნასთან ერთად ქ-ნი ეთერი თავის სტუდენტებს სულიერებას აზიარებს – ქართული ფოლკლორი ხომ ამის იშვიათ შესაძლებლობას იძლევა, თუ, რასაკვირველია, „ყურნი გასხია სასმენლად“.

ამ სულიერების ნათელი სხივი არ აძლევს მის ყოფილ მოსწავლეებსა და სტუდენტებს, ან უკვე ზრდასრულ ხალხს, დაივიწყონ ეთერის ლექციები, საუბრები და ის მართლაც დაუვიწყარი დღეები, რომლებსაც ისინი ფოლკლორულ ექსპედიციებში ერთად ატარებდნენ.

ვინც ექსპედიციაში ყოფილა, მან კარგად იცის საქართველოს მთასა და ბარში, სადღაც მიკარგულ სოფლებში ერთად გატარებული დღეების ფასი. იქ ადამიანს სულ სხვა რაკურსით ეცნობი, სულის უფრო ღრმა შრეებში წვდები. რა დაგავიწყებს ერთ ქვაბში მოხარშული ცეცხლის სუნდაკრული საჭმლის, ან ღამის კოცონთან შებოლილი ჩაის გემოს.

ერთი ეპიზოდი, მისმა ყოფილმა სტუდენტმა რომ გაიხსენა:

„მთიულეთ-გუდამაყრის ფოლკლორულ ექსპედიციაში ქ-ნმა ეთერ არჯევანიძემ წაგვიყვანა. ვიწერდით ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, მთიულეთისთვის დამახასიათებელ ადათებს, წეს-ჩვეულებებს, ლეგენდებს. შავი არაგვის ხეობაში, სოფელ კიტოხში დავბანაკდით. იქიდან სოფელ ფახვიჯის ალმართებს შევუყევით. საცალფეხო ბილიკი ხშირ ფოთლოვან ტყეში მიდიოდა. მოულოდნელად მთიდან ცხენით ჩამომავალი შემთვრალი მთიულები დავლანდეთ. მოგვიახლოვდნენ და ჯიქურად დაუწყეს თვალიერება ჩვენს გოგონებს. შიშმა აგვიტანა. ქ-ნი ეთერი უმალ მოეგო გონს. დინჯად და დამაჯერებლად განუმარტა მათ ჩვენი სტუმრობის მიზეზები, მთიულ ვაჟებს თავი მასპინძლებად და ჩვენს მცველებად აგრძნობინა. სიტუაცია საოცრად განიმუხტა. მასპინძლებმა თავი გადაიკლეს – ქორწილში მიგვიწვიეს. ჩვენი მშვენიერი ხელმძღვანელი ცხენზე შესვეს, ჩვენც აქეთ-იქიდან ამოვუდექით და ქორწილში ზღაპრული დრო გავატარეთ. უამრავი ჩანაწერი გავაკეთეთ“.

ეთერის სკოლის ამხანაგი, ცნობილი გერმანისტი ნელი ამაშუკელი იგონებს: „სკოლაში ეთერი საოცრად ლამაზი და მომხიბვლელი ბავშვი იყო. ჩვენი ბიჭები შესაძლებლობის ფარგლებში ყურადღებას არ აკლებდნენ. მოწონების ნიშნად, ხან დაეჯახებოდნენ, ხან მის ფერხთით გაიშხლართებოდნენ, ვითომ შემთხვევით წაიქცნენ, ხან „კუკლა-კუკლას“ ძახილით დასდევდნენ დერეფანში.

უნივერსიტეტშიც ერთ ფაკულტეტზე აღმოვჩნდით, ოღონდ ეთერი ქართულ ენას და ლიტერატურას დაეწაფა, მე – გერმანულს.

...ჩვენმა განყოფილებამ იმარჯვა, ყოვლად დინჯმა, წიგნებში გონივრულად ჩაფლულმა, უნიჭიერესმა, უჭკვიანესმა, ფრიად მორიდებულმა ანგლისტმა საშა გამყრელიძემ ეთერის თაყვანისმცემელთა გუნდები მიყარმოყარა და გამყრელიძეების გვარის გამგრძელებელი გახადა. გაჩნდა საქართველოში მშვენიერი ოჯახი, სადაც ყველას მიუხაროდა მისვლა. ეს გახლდათ ერთგვარი ინტელექტუალური ოაზისი. მალე ოჯახში ნანა და გელა აჟღურტულდნენ. მათმა მეგობრებმაც არ დააყოვნეს – აივსო კედლები ჟრიამულით“.

ახლა მე გავიხსენებ:

1971 წელი იყო. ახალგაზრდულ გაზეთში ვმუშაობდი. მთელი თბილისი შეძრა და, ცხადია, ჩვენი გაზეთიც გვერდს ვერ აუვლიდა ამ საზარელ ფაქტს:

ცნობილი მეცნიერი ალექსანდრე (საშა) გამყრელიძე ავტობუსის გაჩერებასთან გოგონას გამოესარჩლა, რომელსაც ხულიგნები აწუხებდნენ და ამ კეთილშობილებას ემსხვერპლა კიდეც.

იმ დღიდან ქ-ნი ეთერი მარტო ეწევა ცხოვრების ჭაპანს. აღზარდა ღირსეული შვილები, ნანა ენათმეცნიერია, გელა – ერქეოლოგი – დოქტორი.

შვილები, შვილიშვილები და საყვარელი საქმე, რომლის სიყვარული არ განელებია, მოწაფეთა მადლიერება აძლევს ამ ღვაწლმოსილ ქალბატონს იმის რწმენას და ღონეს, რომ მისი სიცოცხლე სჭირდება ოჯახს, ქვეყანას.

აი, როგორი თბილი სტრიქონებით შეეხმიანა მისი ყოფილი სტუდენტი შარლოტა კვანტალიანი საყვარელი ლექტორის იუბილეს:

„თქვენ რომ გიყურებთ, სიბერის
სრულებით არ მეშინია,
თქვენი სიცოცხლე სიკეთით
და სიბრძნით დაგეშილია.
გაქვთ ჯადოსნური მალამო –
„ჯერ ვარდი არ დაგჭკნობიათ“,
თქვენი თვალების ციმციმი
ბევრ ყმაწვილქალის მჯობია.
მე თქვენზე ლექსი ვალად მაქვს,
ვქარგავ ყვავილთა ფერებით,
ჯერჯერობით კი ამ მცირე
შაირით მოგეფერებით“.

უკეთესად ვერ იტყვი. მეც ამ პატარა წერილით, რომელმაც მისი ღვაწლის მცირე ნაწილიც კი ვერ დაიტია, მოვეფერები ქალბატონ ეთერ არჯევანიძეს და დიდი სურვილი და იმედი მაქვს, მის ცხრა ათეულ წელს, ათი წლის შემდეგ თუნდაც ამაზე პატარა, მაგრამ სიყვარულით სავსე ბარათით გამოვეხმაურო.

**ნარგიზა მგელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქ ასწავლიდნენ... აქ სწავლობდნენ...

*საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა ეთერ მაყაშვილმა თბილისის 47-ე სკოლაში 50 წელზე მეტხანს იმუშავა. ახლა პენსიაზეა, მაგრამ თითქმის ყოველდღე სკოლაშია, კოლეგებს მოსწავლეთა აღზრდაში ეხმარება. სკოლის საიუბილეო სამზადისში მან დიდი შრომა გასწია.*

*წერილიც ამ ისტორიული კერის შესახებ მან მოგვაწოდა.*





საუკუნენახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისში, მთაწმინდის ძირას, ახლანდელი შიო ჩიტაძის ქუჩაზე კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი დაარსდა. მისი დაბადება იმ წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების დამსახურებაა, რომელიც ელისაბედ ვორონცოვამ ჩამოაყალიბა. „ნათლიამ“ სკოლასაც წმინდა ნინოს სახელი უწოდა.

ორსართულიანი შენობის ზემო სართულზე საკლასო ოთახები და სამასწავლებლო განლაგდა. დერეფნის მეორე მხარე მუსიკალურ კლასებს და კლასის ხელმძღვანელთა ოთახებს დაეთმო.

სასწავლებელი საქველმოქმედო საზოგადოების მიერ შემუშავებული წესდებით მუშაობდა. მალე მისი ფილიალებიც გაიხსნა: ქუთაისში, შემახაში, ბაქოში, თელავში, ელისავეტპოლში (განჯა), შუშაში. ფილიალებში სწავლის წლიური გადასახადი 50 მანეთი იყო. ნაკლებშეძლებულები უფასოდ სწავლობდნენ.

1870 წლიდან სასწავლებელი შვიდკლასიან ქალთა გიმნაზიის უფლებით სარგებლობდა. 1883 წლიდან კი გიმნაზია ეწოდა, იქ მეტწილად თავადაზნაურთა და ოფიცერთა შვილები სწავლობდნენ. სწავლის წლიური გადასახადი 300 მანეთამდე იყო. მის ბიუჯეტს საქველმოქმედო საზოგადოების შემოწირულობა ავსებდა და ხშირად დანაზოგიც რჩებოდა.

რუსეთის იმპერიის წლებში გიმნაზიაში ისწავლებოდა საღვთო რჯული, რუსული ენა, ქართული ენა, უცხო ენა, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეომეტრია, მათემატიკა, სიმღერა, ცეკვა.

გიმნაზიას მზრუნველობას არ აკლებდნენ წმინდა ნინოს სახელობის საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს წევრები – ელისაბედ ვორონცოვა, ანა იაროცკაია, მარიამ გოლიცინა, ნადეჟდა დონდუკო-კორსაკოვა, ანა ჭავჭავაძე, როზა ანანიაშვილი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, ვასილ სარაჯიშვილი, დარია ჭავჭავაძე, მარიამ შერვაშიძე და სხვები. გიმნაზიაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ცნობილი პედაგოგები: ნიკო ცხვედაძე, ლევან ღოღობერიძე, ანდრია მანსვეტაშვილი, დიმიტრი ფურცელაძე, რუსუდან მელიქიშვილი, მოსე ჯანაშვილი, ვანო ხელაია, ლუარსაბ გედევანიშვილი, იაკობ ნიკოლაძე, სოლომონ მრევლიშვილი, ვიქტორ ტროე, ზაქარია ფალიაშვილი, გიორგი ეგნატაშვილი, აკაკი ფალავა, ეკატერინე ჯავრიშვილი, ელენე მაყაშვილი, ანდრია რაზმაძე, ლუცია ქუთათელაძე, ეკატერინე საყვარელიძე, ვერა ბურჯანაძე, ალექსანდრა ბახტაძე, ვასილ კაკაბაძე...

1921 წლამდე სასწავლებელი წმინდა ნინოს სახელს ატარებდა. შრომის სწავლების შემოღების შემდეგ მას მე-8 შრომის სკოლა ეწოდა, შემდგომ – ქალთა პირველი საშუალო სკოლა, 1954 წლიდან – 47-ე საშუალო სკოლაა.

თავის დროზე აქ უსწავლიათ ლუდმილა მაიაკოვსკაიას (ვლადიმერ მაიაკოვსკის და), ე.ი. თარხან-მოურავს („ლა სკალას“ პრიმადონა), მარიჯანს, მარო მაყაშვილს, თამარ ჭავჭავაძეს, ქეთო ჯაფარიძეს, ნინო რამიშვილს, თამარ ციციშვილს, მაყვალა მრევლიშვილს, გაიანე მაჭუტაძეს, რევაზ მარგიანს, შოთა რევიშვილს, ოთარ გორდელს, ზურაბ ჭილაძეს, საბჭოთა კავშირის გმირებს ვახტანგ ლეჟავას და თენგიზ ჯაფარიძეს, კოტე ჩაჩავას, ნოდარ ცინცაძეს, გულნარა გერსამიას, ნანი ბრეგვაძეს, ვახტანგ კიკაბიძეს, მედეა ძიძიგურს, გიგლა ფირცხალავას...

დიდი წარსული მქონე 47-ე სკოლა „იუნესკოს“ ასოცირებული სკოლების პროექტის წევრია. მოსწავლეები სწავლობენ საქართველოს არქიტექტურული ძეგლების ისტორიას, მონაწილეობენ მათ აღდგენაში.

სკოლაში ბევრი საუკეთესო პედაგოგი მოღვაწეობს. ისტორიის მასწავლებელმა მანანა შეყილაძემ შეადგინა საქართველოს ისტორიის რუკები უძველესი დროიდან მე-9 საუკუნემდე. სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ეს რუკები დიდ სარგებლობას მოუტანს მოსწავლეებს. სოროსის გრანტის მფლობელები გახდნენ მასწავლებლები: ნანა ლორია, ლია ქავთარაძე, მანანა შეყილაძე, მერი მოწონელიძე.

სკოლაში ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება 1961 წლიდან დაიწყო თინათინ გეგეჭკორის თაოსნობით. ამჟამად ინგლისურ ენას 25 გამოცდილი პედაგოგი ასწავლის, ბევრი მათგანი სახელმძღვანელოთა ავტორია. ნელი ბოსტაშვილი კი 1997 წელს წლის საუკეთესო მასწავლებლად აღიარეს.

სკოლას სათავეში უდგას ახალგაზრდა, ენერგიული დირექტორი ნუგზარ ყენია.

...წლები მიდის, აღმზრდელები იცვლებიან, სკოლა კი რჩება თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

**ეთერ მაყაშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.**

21.308

საქართველოს
პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უიმედოდ მოსულნი იმედით გამოდიან

სამგორის რაიონის გამგებლობამდე ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა თეიმურაზ ქურხულმა საკმაოდ საინტერესო გზა გაიარა, ყველგან, სადაც კი უმუშავია, კაცური კაცის, ნამდვილი პროფესიონალის სახელი და კარგად აწყობილი საქმე დატოვა. უდიდესი მოთმინების უნარით აღჭურვილი დღესაც დიდ საქმეს არის შეჭიდებული. სამუშაო დღე მისთვის დილაუთენია იწყება და გვიან ღამემდე გრძელდება. ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობს და ამ მცირე დროში ბევრის გაკეთება შეძლო. გამგებელს მთავარ დანიშნულებად ხალხთან ურთიერთობა, მათთან საერთო ენის გამონახვა მიაჩნია. რაიონში 200 ათასამდე მცხოვრებია, მათგან 90 პროცენტი გაჭირვებულია. მათ დახმარება, ხელის გაწვდენა სჭირდება. პირველი, რაც თეიმურაზმა გააკეთა, მიღების საათების გაუქმება იყო. გამგებლის ნახვა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. ადამიანს როდესაც ტრანსპორტის ფული არა აქვს და ფეხით მოვა ვარკეთილიდან თავისი გასაჭირის გასაზიარებლად და დახმარების სათხოვნელად, როგორ უნდა უთხრა, დღეს მიღება არა მაქვს და ვერ მოგისმენო, - ამბობს თეიმურაზი და ეს თავის მოსაწონებლად წამოსროლილი ფრაზა არ გახლავთ. ყველა კეთილგანწყობით არ შედის გამგებლის კაბინეტში, მაგრამ იქიდან იმედჩასახულნი გამოდიან.

სხვისი გასაჭირი გულთან თუ არ მიიტანე, მაშინ უფლებაც არა გაქვს ხალხთან იმუშაო, - თვლის გამგებელი და მისი საქმიანობაც ამ სიტყვების დადასტურებაა. ვინ მოთვლის, რამდენი იმედგაცრუებული ადამიანისათვის დაუბრუნებია დაკარგული იმედი და რწმენა. რაც მთავარია, არავითარი ცრუ დაპირებები! უმჯობესია ადამიანს მწარე სიმართლე უთხრა, თუნდაც ამისათვის გაილანძღო კიდეც, ვიდრე შეპირდე და არ გააკეთო, - ასეთია თეიმურაზ ქურხულის საქმიანობის პრინციპი.

ცოდნა და გამოცდილება არ აკლია სამგორის რაიონის გამგებელს. კარგად ერკვევა სოციალურ სფეროში, ეკონომიკაში, ფინანსებში. მთელი მისი ძალისხმევა იქითკენ არის მიმართული, რომ თითოეული თეთრი მიზნობრივად დაიხარჯოს და ხალხის კეთილდღეობას მოხმარდეს.

გარშემო ერთგული, საქმის მცოდნე ადამიანები ჰყავს შემოკრებილი. აფასებს სხვათა ცოდნას და გამოცდილებას. საკუთარ აზრს თავზე არავის ახვევს. ბრმა შემსრულებელი არ მჭირდება. პატივს არ ვცემ ადამიანს, სხვათა ბრძანებებს დაუფიქრებლად, მორჩილად რომ ასრულებსო, - ამბობს დაუფარავად. გამგეობის კოლექტივი ერთსულოვან, მყარ გუნდად ჩამოაყალიბა. გაფუჭებულ საქმეზე ყველა თანაბრად აგებს პასუხს და გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულსაც თანაბრად ინაწილებენ. თეიმურაზ ქურხულს უღალატო, ერთგული ადამიანის სახელით იცნობენ. დაუფიქრებლად შეიძლება ენდო ჭირშიც და ლხინშიცო, - ამბობენ მასზე. ადამიანში თავადაც ერთგულებას აფასებს. რა უნდა იყოს იმაზე მტკივნეული, როცა ის ადამიანი გღალატობს, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობიო, - ამბობს ბატონი თეიმურაზი. კარგი ხელმძღვანელის ხელი აშკარად ეტყობა სამგორის რაიონს. ყველა შესაძლო რეზერვი ამოქმედდა. თანდათანობით, რუდუნებით, სიყვარულით კეთდება საშვილიშვილო საქმეები. ლილოს დასახლებაში აშენდა წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია, გაიხსნა უფასო სასადილოები მარტოხელა პენსიონერებისათვის, ვარკეთილში აღადგინეს სკვერი, მოწესრიგდა გზები, ამოქმედდა სპორტული მოედნები და საცურაო აუზი, გაიხსნა მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც 44 მზრუნველობას მოკლებულმა ბავშვმა ნამდვილი ოჯახი იპოვა. ცენტრის მესვეურნი თეიმურაზს მხსნელად მიიჩნევენ. კვირაში ორ-სამჯერ მაინც შეირბენს ბავშვებთან, დახედავს, მიეფერება, საჩუქრებს მიუტანს. თითოეული ბავშვის სურვილი და ოცნება კი არა, უმნიშვნელო წვრილმანიც კი იცის მათ შესახებ. არ ავიწყდება არც ერთის დაბადების დღე. ლამაზ, კეთილმოწყობილ შენობაში პატარებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი სწავლისა და დასვენებისათვის. სრულფასოვანი სამჯერადი კვება, ფერადი ტელევიზორი, კომპიუტერები, საინტერესო წიგნები, ლამაზი სათამაშოები, სითბო და სიყვარული - ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაზეც პატარები ადრე მხოლოდ ოცნებას თუ გაბედავდნენ ეს ყველაფერი პირველ რიგში, თეიმურაზ ქურხულის დამსახურებაა. ამის შესახებ, ბუნებრივია, თავად ერთი სიტყვაც არ დასცდენია, გამგეობის თანამშრომელმა, ქ-ნმა კლარა სვანიძემ გამანდო „საიდუმლოდ“.

დღეს ხალხი ფუფუნებას კი არა ელემენტარულ პირობებს, სასიცოცხლო მინიმუმს ითხოვს, რაც სამგორის რაიონში მეტ-ნაკლებად მოგვარებულია. კარგა ხანია არ არსებობს პენსიების, ხელფასების, დენისა და წყლის პრობლემა. მომავალში კიდევ უფრო მეტის გაკეთებას აპირებს თეიმურაზ ქურხული, ადამიანი რომელიც სიტყვებს ქარს არატანს და რომლის სიტყვაც ყოველთვის საქმედ იქცევა.

– ადამიანი ყოველთვის შემოქმედი უნდა იყოს, – ამბობს ბ-ნი თეიმურაზი. – ძალიან მინდა, რომ ჩემი შვილი ამაყობდეს ჩემით. რასაც მე ვერ შევძლებ, მან უნდა გააკეთოს. ჩემი შეცდომებიც მან უნდა გამოასწოროს.

ოჯახი ჩემთვის ყველაფერია, სადაც შემიძლია ვთქვა, სიყვარული მეფობს. სიყვარული არ ქრება, როცა მას უფრთხილდებიან. ამდენი წლის შემდეგ ჩემს მშობლებს დღეს უფრო მეტად უყვართ ერთმანეთი. დღეს სიყვარული, პატივისცემა და თანადგომა გადაარჩენს ჩვენს გაუხეშებულ სულს.

ბედნიერი ვარ, რომ ჩემს გვერდით არის ერთგული, მოსიყვარულე ადამიანი. ოჯახის მთელი სიმძიმე ჩემს მეუღლეს აწევს მხრებზე, მაგრამ საყვედური ხანდახან თუ დასცდება. ადამანმა ისე უნდაააწყოს თავისი ცხოვრება, რომ სამსახურიდან სახლში მიუხაროდეს, სახლიდან სამსახურში მიიჩქაროდეს.

...ასეც არის. თეიმურაზ ქურხულს დილით უთენია სამსახურში მიუწევს გული, საღამოს კი ოჯახში მიიჩქარის, სადაც მოსიყვარულე მეუღლე და პატარა ნიკოლოზი ელოდება, პაწია ვაჟკაცი, რომელიც მამის კეთილ მაგალითზე იზრდება და რომელიც აუცილებლად იამაყებს მამით.

**მარინე ნაკაიძე**

# მოგონებანი გარდასულ დღეთა



*დღეს გვსურს გაგაცნოთ პირველი ქართველი მეტალურგი ქალი – ნახევარგამტარ მასალათა მეტალურგიაში, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მრავალი მედლისა და ორდენის კავალერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ამავე ინსტიტუტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი, ქალბატონი მარიამ კეკუა.*

მარიამ კეკუა, რომელსაც ახლობლები მანუსას, თანამშრომლები კი ქალბატონ მაროს ეძახიან, დიდზე დიდი ხანია მუშაობს ნახევარგამტარ მასალათა მეტალურგიაში, – 86 წლის მეცნიერი სწავლობს კაჟბადისა და გერმანიუმის მყარი ხსნარების კრისტალების ზრდის პროცესებს და მიღებული კრისტალების რეალურ სტრუქტურებს, თანამშრომლობს ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიასა და სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ორგანიზაციებთან.

ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე, ცხადია, ტკივილი, სიმწარე და გაჭირვებაც ბევრი უნახავს, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით ყველა განსაცდელს გაუძლო და გადალახა. ფოთელი ქალიშვილი დიდხანს მუშაობდა მოსკოვში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში და თანდაყოლილი ტაქტისა თუ მრავალმხრივი განათლების წყალობით, რუსეთის ელიტარულ საზოგადოებაში თავს უცხოდ არ გრძნობდა, თუმცა თავად თვლის, რომ ამ მხრივ, დიდად დაეხმარა მეუღლე – აკადემიკოსი თეოფანე დავითაია, რომლის სახელობის გემიც უკვე 15 წელია სერავს ოკეანეებს.

მარიამი ძალიან ახალგაზრდა იყო, მომავალი მეუღლე რომ გაიცნო. წლების მანძილზე სითბოთი სავსე წერილები მიდი-მოდიოდა თბილისსა და მოსკოვს შორის, მაგრამ ოჯახის შექმნა ჭიანურდებოდა, რადგან საქმრო რუსეთში ცხოვრობდა, ქალს კი ეძნელებოდა სამშობლოს დატოვება. ბოლოს, მაინც სიყვარულმა გაიმარჯვა და მოსკოვის შუაგულში ლამაზი ქართული ოჯახი შეიქმნა.

ბატონ თეოფანეს ხშირად უწევდა უცხოეთში გამგზავრება, რადგან იყო მსოფლიო გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. როცა რომელიმე ქვეყანაში მიიწვევდნენ, ჯერ ენას სწავლობდა და მერე მიემგზავრებოდა, – ყველგან მასპინძელთა მშობლიურ ენაზე კითხულობდა ლექციებს.

მარიამმა და თეოფანემ ერთადერთი ქალიშვილი გაზარდეს. რაკი მეორე შვილი არ შეეძინათ, დედა შეშინდა, თავნება არ გამოვიდესო და ლეონისეული მეთოდით გაზარდა დედისერთა, – მძინარეს ეფერებოდა, არასოდეს ანებივრებდა... ზინას მაინც დედა უყვარდა ყველაზე მეტად. ოჯახი რომ თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, მარიამი მაშინვე არ გაათავისუფლეს სამსახურიდან, – რამდენიმე თვე მამა-შვილს დედის გარეშე მოუწია ყოფნა. მამიდები ხშირად აკითხავდნენ, მაგრამ დანაღვლიანებულ გოგონას სულ გზისკენ აწყდებოდა თვალები... მოსკოვში ერთი ნაწნავით და ლურჯი ფორმის კაბით დადიოდა, თბილისის სკოლაში კი ორი ნაწნავით და ყავისფერი კაბით მისვლა მოსთხოვეს. შეშფოთებულმა ბავშვმა მაშინვე დედას მისწერა: სასწრაფოდ ჩამოდი და დამეხმარეო.

მარიამი ტკბილად იგონებს მეუღლესთან გატარებულ ბედნიერებას, სათუთად ინახავს ყოველ ნივთს, რომელიც ქმრის სახელთანაა დაკავშირებული. ჯიბით ატარებს სამუშაო კაბინეტის გასაღებს, – შვილიშვილები ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ მათაც არ აძლევს უნებართვოდ შესვლის უფლებას. იქ ყველაფერი ისევეა, როგორც ბატონმა თეოფანემ დატოვა.

– იცით, დაქორწინებამდე ყოველ მეორე დღეს წერილებს ვწერდით, – უერთმანეთოდ ვცხოვრობდით, მაგრამ სულ ერთად ვიყავით... ერთხელ მომწერა, ისეთი წერილი მივიღე, როგორსაც შენ ვერასოდეს მიიღებდიო, – იმ წერილის ისტორია ასეთია: თეოფანეს ბაბუა მთელ სოფელში განთქმული ყოფილა; გამორჩევით ყვარებია პირველი შვილიშვილი და დიდი სურვილი ჰქონია, ისიც სახელგანთქმული ყოფილიყო. ერთხელ თეოფანესთვის უკითხავს: ბაბუ, შენც ისე გცნობენ ლენინგრადში, როგორც მე ჩვენს სოფლებში მიცნობენო? – კი, ბაბუ, მთელი ლენინგრადი მიცნობსო, – უხუმრია შვილიშვილს... ერთხელაც, ბაბუას წერილი მიუწერია შვილიშვილისთვის და მისამართი ასე დაუწერია: ლენინგრადი, თეოფანე დავითაიას. მეზობელი დიდხანს არწმუნებდა თურმე, ასე წერილის გაგზავნა არ შეიძლებაო, ბაბუას კი გადაჭრით უთქვამს: ჩემი შვილიშვილი ტყუილს არ იტყვისო და, მაშინდელი ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წერილი ადრესატს მიუღია.

კეთილი ხე ყოველთვის კეთილ ნაყოფს გამოიღებს, ბაბუის ნაჭამი ტყემალი კი შვილიშვილს კბილს მოჰკვეთს... თეოფანე ისეთი კეთილი ფესვიდან აღმოცენდა, რომ კბილი არასოდეს მოკვეთია, პირიქით, წინაპართა სულის სინათლე მის შთამომავლებსაც სწვდება... სათნო და თავმდაბალი ზინა კარგი ფიზიკოსი და კარგი დედაა. თვითონ დედისერთაა, მაგრამ მისი მშობლების ოჯახში რამდენიმე თაობა გაიზარდა – დისშვილები, ძმისშვილები, მათი შვილები... ცალად დარჩენილი ქალბატონი მარიამი დღესაც დიდი იმედია ნათესავებისა თუ მეგობრებისათვის. მის ოჯახში ყოველთვის ვინმე ცხოვრობს. არ შეუძლია, თუ ვინმეზე არ იზრუნა, თუ ვინმეს არ უპატრონა... ერთხელ ქალბატონმა მარიამმა ჩემი შეუძლოდ ყოფნა რომ გაიგო, მთხოვა: ჩემთან გადმოდი, საკუთარი შვილიშვილივით მოგივლიო. მისი სიყრმის მეგობარმა, კატუშა ალანიამ მიამბო: თეატრში მივდიოდით, მე ძველი კაბა მეცვა, მანუსას კი ლამაზი ახალი კაბა ჰქონდა. სახლში გავუარე, კარადიდან ის ახალი კაბა გადმოიღო და მთხოვა: ჩაიცვი, ერთი, მაინტერესებს, როგორ მოგერგებაო. ჩავიცვი და, აღარ გაიხადოო, მითხრა, – თვითონ სხვა კაბით წამოვიდა.

ქალბატონ მარიამზე ბევრ საინტერესოს ყვებიან მეგობრები, ნათესავები თუ კოლეგები, მაგრამ შეუძლებელია ყველაფრის ჩამოთვლა. მთავარია, რომ ჩვენს გვერდით ცხოვრობს ღვაწლმოსილი მეცნიერი, ამაგიანი დედა და უერთგულესი მეუღლე, რომელსაც მარიამ კეკუა ჰქვია.

**ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯოკონდა: საუკუნეების საიდუმლო

*აღორძინების ხანის გენიალური მხატვრის ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა" აგერ უკვე ოთხ ასეულ წელზე მეტია ქალური სილამაზის იდეალად აღიქმება. და მართლაც, იგი გვაღელვებს, გვიზიდავს და გვნუსხავს ისე, როგორც არასდროს...*

*დღეს თქვენს ყურადღებას ამ დიდებული სურათის საიდუმლოს ახსნის მრავალთაგან*



*ერთ-ერთ ვერსიას დავუთმობთ (მეტად საეჭვოს, მაგრამ უდავოდ საინტერესოს), რომლის თანახმადაც, ტილოზე გამოსახული ქალბატონი მონა ლიზა კი არა, სულ სხვა ქალია, რომელმაც მრავალი უბედურება მოუტანა თავის ახლობლებს და, შესაძლოა, თავად გენიალური მხატვრის სიკვდილის მიზეზადაც იქცა.*

## ერთი შეცდომის ისტორია

თუ XVI საუკუნის იტალიელ ხელოვნებათმცოდნეს ჯორჯიო ვაზარის ვერწმუნებით, დიდმა მხატვარმა ლეონარდო და ვინჩიმ ფლორენციელი მაგნატის ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს სიცოცხლითა და გზნებით აღსავსე 25 წლის მზეთუნახავი მეუღლის მონა ლიზას პორტრეტი შექმნა. მაგრამ უთუოდ დაგვეთანხმებით, რომ პორტრეტზე გამოსახული ქალბატონი არც ისე ლამაზი და ახალგაზრდაა, თანაც თავს სამგლოვიარო ჟუალი უფარავს და ისიც ცოცხალი მეუღლის დროს... ამიტომ, ლოგიკურად იბადება კითხვა, თუ პორტრეტის დამკვეთი ფრანჩესკო დელ ჯოკონდო ჯანმრთელი და ცოცხალი იყო, რატომღა დარჩა სურათი მხატვართან? ეჭვგარეშეა, ვაზარი შეცდა – იგი ხომ მხოლოდ სამი წლისა იყო, როცა და ვინჩიმ სამუდამოდ მიატოვა იტალია და ამ სურათსაც ხელოვნებათმცოდნე სხვისი აღწერით თუ იცნობდა. მოხდა ისე, რომ ვაზარის დიდმა ავტორიტეტმა მისი შეცდომა სამუდამოდ მიჩქმალა.

XX საუკუნეში მრავალი სპეციალისტი ცდილობდა „ჯოკონდას" საიდუმლოების ამოცნობას და ათეულობით ვერსიაც არსებობდა. იმასაც კი ამტკიცებდნენ, ამ სურათზე გენიალურმა ლეონარდომ ქალის იერმიღებული საკუთარი თავი გამოსახაო?! მაგრამ ყველაზე სარწმუნო იდეა მაინც 1957 წელს იტალიელმა მკვლევარმა კარლო პედერეტიმ წამოაყენა, რომლის თანახმადაც, სურათზე ესპანელი დიდგვაროვანის ქვრივი პაჩიფიკა ბრანდანოა გამოსახული!

## შავი ქვრივი

პაჩიფიკა ბრანდანო მსუბუქი ყოფაქცევისა და ბრწყინვალე განათლების მქონე ულამაზო ქალბატონი, თურმე ნებისმიერი კომპანიის სული და გული ყოფილა. მამაკაცები მას ისე ეტანებოდნენ, როგორც ბუზები თაფლს და ისიც არასდროს უშვებდა ხელიდან შანსს. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ბუნებით უხვად მომადლებული მხიარული ხასიათის გამო, ნაცნობები ქალს ჯოკონდას ანუ მოთამაშეს უწოდებდნენ და ისიც ამართლებდა ამ მეტსახელს, როცა გარშემომყოფთა ბედით მანიპულირებდა. ქალმა მალევე გამოუძებნა შემცვლელი თავის პირველ მეუღლეს, რომელიც ქორწინებიდან სულ ცოტა ხანში, მეტად საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. პაჩიფიკას ახალი რჩეული ჰერცოგი ჯულიანო მედიჩი გახდა, ისეთივე სიცოცხლისმოყვარული ადამიანი, როგორიც თავად ქალი იყო. მათი რომანი ვაჟის იპოლიტოს შეძენის შემდეგ დასრულდა. პაჩიფიკას ახლობელთა შემდგომი ცხოვრება ტრაგიკულად წარიმართა – ფრანგ პრინცესაზე დაქორწინებული ჰერცოგი მედიჩი მალე ჭლექით დაავადდა და გარდაიცვალა, პაჩიფიკას ვაჟი იპოლიტო კი ჯერ კიდევ პატარაობისას მოწამლეს.

მაგრამ 1513 წელს, როცა ჰერცოგმა მედიჩიმ ლეონარდო და ვინჩის თავისი საყვარლის პორტრეტი შეუკვეთა, ყველა ეს უბედურება ჯერ კიდევ წინ იყო. რომში, პაპის სასახლეში, ლეონარდოს დიდებულად განათებული სახელოსნო მოუწყვეს, სადაც ჟღერდა მუსიკა და სიმღერები ისმოდა, დეკლამატორები კი ლექსებს კითხულობდნენ. ასაკის მიუხედავად (მაშინ მას სამოცდაერთი წელი შეუსრულდა), ლეონარდო ძალღონით იყო სავსე და მთელი მონდომებით შეუდგა მუშაობას. სურათი სამი წლის მანძილზე იხატებოდა და მნახველს ყველა დეტალის არაჩვეულებრივი დახვეწილობით აოცებდა, რაც განსაკუთრებით სახესა და თვალებზე ითქმოდა. პაჩიფიკა პორტრეტზე საოცრად ცოცხალი ჩანდა და მისი იდუმალებით მოცული ღიმილი ადამიანებზე მომნუსხველად მოქმედებდა. უკანა პლანზე გამოსახული პეიზაჟი კი რაღაც სევდიან აზრებს აღძრავდა. თუმცა მრავალი მნახველი პორტრეტს დასრულებულად თვლიდა, თავად მხატვარი უკმაყოფილო ეხლდათ ნამუშევრით. „ჯოკონდაზე" მუშაობის პროცესში ლეონარდოს ჯანმრთელობამ უღალატა, მისთვის ადრე უცნობმა დაღლილობამ და აპათიამ დარია ხელი და ბოლოს მარჯვენაც წაერთვა. სასიცოცხლო ძალებმა თითქოს სამუდამოდ მიატოვა მხატვარი.

## პორტრეტი – ვამპირი

ჭლექით მომაკვდავი ჯულიანო მედიჩი პაჩიფიკას პორტრეტს ლეონარდო და ვინჩის უტოვებს საჩუქრად და მას საფრანგეთის მეფის ფრანცისკ I-ის კარზე აგზავნის. პარიზში ლეონარდომ რამდენიმე საინტერესო პროექტს მოკიდა ხელი, მაგრამ მისი გონება კვლავ პაჩიფიკა ბრანდანოს პორტრეტს დატრიალებდა. მეფემ, რომელმაც სურათის შეძენის სურვილი გამოთქვა, მსუბუქი უარი მიიღო, ჯერ არ არის დასრულებულიო, თუმცა მისი ყველა თანამედროვე ერთხმად ამტკიცებდა, დიდებული სურათიაო, რასაც ვერ ვიტყვით თავად ოსტატის ჯანმრთელობაზე.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ლეონარდო ცხენის ნალს ღუნავდა ხელით, ახლა კი არნახული უძლურება ტანჯავდა, კვირაობით ვერ დგებოდა საწოლიდან, არა და არ ალუდგა პარალიზებული მარჯვენა ხელი. სამოცდაშვიდი წლის ასაკში აღორძინების ხანის ტიტანი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ ჩაწვდა, რა ან ვინ იყო მისი ნელ-ნელა გაქრობის მიზეზი. მიზეზი კი უკანასკნელი წლების მანძილზე სულ გვერდით ჰყავდა – ჯერ ცოცხალი ქალბატონი, შემდეგ კი მისი არაჩვეულებრივი გამოსახულება – პა-

ჩიფიკა ანუ ჯოკონდა, რომელმაც შთააგონა მხატვარს შედევრის შექმნა და საბოლოოდ შეიწირა კიდეც.

მაინც, რაში მდგომარეობს პაჩიფიკას წყევლის საიდუმლო? როგორც კარგადაა ცნობილი, ჩვენ ყველანი ე.წ. თხელი გარსით ანუ ბიოველით ვართ შემოსაზღვრული, რომელიც მართავს კიდეც ჩვენს ფიზიკურ სხეულს.. ზოგ ადამიანს ბიოველის პარამეტრები შემცირებული აქვს და, ამიტომაც ახლობლების სასიცოცხლო ენერგიას შთანთქავს, მათთვის კი ამით ავადმყოფობა და უბედურება მოაქვს. ასეთ ადამიანებს, დღეს ენერგეტიკულ ვამპირებს უწოდებენ და, სავარაუდოა, პაჩიფიკა ბრანდანოც ასეთივე ენერგეტიკული ვამპირი იყო.

ლეონარდო და ვინჩიმ შეძლო პორტრეტზე უნიკალური სიზუსტით გადმოეცა არა მარტო პაჩიფიკას გარეგნობა, არამედ მისი საბედისწერო ენერგეტიკული არსიც – საღებავებით ტილოზე გამოსახული „ჯოკონდა“ დღესაც აგრძელებს სიცოცხლეს და, შავი ხვრელის დარად, კვლავ შთანთქავს ლუვრში მოძალებულ მნახველთა ენერგიას, რომლებიც პარიზში მხოლოდ ამ სურათის სანახავად ჩამოდიან. მავანთ ალბათ ჰგონიათ, „ჯოკონდა“ სიკეთესა და ბედნიერებას ასხივებსო და ამით განსაკუთრებით ბიზნესმენები ხეირობენ, რეკლამისათვის მილიონობით ტირაჟით რომ იყენებენ ლეონარდოს უკვდავი ტილოს რეპროდუქციებს. „მონა ლიზა“ – მსოფლიოში სახელგანთქმული სავაჭრო მარკა გახლავთ და მას ასეულ ათასობით ადამიანი ეტანება. დიახ, „ჯოკონდა“ ჰიპნოზურად მიმზიდველია და მისგან თავი თვით დიდმა ლეონარდო და ვინჩიმაც ვერ დაიხსნა.

და ბოლოს, ნამდვილი მონა ლიზა დელ ჯოკონდა გამოსახულია ტილოზე, რომელსაც „კოლომბინა“ ეწოდება და სანკტ-პეტერბურგში, ერმიტაჟშია დაცული. ნუ ენდობით მის ქვეშ მიკრულ ფირფიტას, რომელიც სურათის ავტორად და ვინჩის მოსწავლეს – ფრანჩესკო მელცის ასახელებს. ნამდვილი ავტორი თავად ლეონარდო და ვინჩი გახლავთ.

ზემოთ თქმული, რასაკვირველია, ოდნავადაც არ აკნინებს დიდი მხატვრის შემოქმედების მნიშვნელობას. პირიქით, მხოლოდ გენიოსს თუ შეეძლო ასეთი შედევრის შექმნა, მაგრამ, მკითხველო, თუ კედელზე „ჯოკონდას“ რეპროდუქცია გიკიდია, გაიხსენე, მისი ორიგინალის საშინელი ძალა და იქნებ „შორით ტრფობა“ სჯობდეს ყველაფერს?

**სტანისლავ სმირნოვი**
**„ტვ. პარკი“ №26 (268) 99 წ.**

თარგმნა **მანანა იმესაშვილმა**



„კოლომბინა“ – ნამდვილი მონა ლიზა

# ოჰ, ეს საჩუქარი

*თუ გსურთ, თქვენთვის ძვირფას ადამიანს ასიამოვნოთ, გაეცანით ინგლისელ ფსიქოლოგთა რჩევებს, რომელთა აზრითაც, არსებობს ამ ქვეყნად ნივთები, ქალმა რომ არ უნდა აჩუქოს მამაკაცს.*

– არ შეიძლება მამაკაცს მიართვათ საშინაო ხალათი. მართალია, ქალების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მისი რჩეული მასში ელეგანტურად და რომანტიულად გამოიყურება, მაგრამ ძლიერი სქესის 100 წარმომადგენლიდან 99 თვლის, რომ ხალათი სულელური და არამამაკაცურია.

– ქალებისათვის ფოტოალბომი შესანიშნავი საჩუქარია, მამაკაცებს კი ვიდეოკასეტები ურჩევნიათ.

– არასოდეს შეიძინოთ მოკრივის აბრეშუმის შორტები, თუნდაც მიგაჩნდეთ, რომ ის ნებისმიერ აღნაგობას უხდება და სექსუალურია. გვერწმუნეთ, იშვიათად, რომ სპორტის რომელიმე თაყვანისმცემელი მასში გამოწყობილი ენვიოს სპორტდარბაზს.

– რაიმე სპორტული ნივთის ჩუქებაც არაა მიზანშეწონილი. ასეთი „ყურადღება“ მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ მამაკაცი მიმზიდველად არ გამოიყურება.

– თავი შეიკავეთ კოსმეტიკური საშუალებების შეძენისგანაც. თქვენს პარტნიორს მხოლოდ საპარსი კრემი და პარსვის შემდგომი ლოსიონი ესაჭიროება და, ალბათ, ამ საკითხშიც არ უყვარს ექსპერიმენტების ჩატარება.

– ზოგიერთი ქალბატონი თავისი რჩეულისათვის ავტომანქანის სათადარიგო ნაწილებს იძენს, ეს კი დაახლოებით იგივეა, თქვენ რომ სანერი მოწყობილობა გისახსოვრონ.

– იქნებ თქვენს პარტნიორს ძველი და გაქუცული საფულე აქვს? ნუ იჩქარებთ მის ახლით შეცვლას: თუ მამაკაცი საჩუქრად ახალ პორტმონეს იღებს, ძველი უნდა გადააგდოს. უმრავლესობას კი ძველი საფულე კარგად აქვს დაცდილი და არა გვგონია, მის ახლით შეცვლას დათანხმდეს.

– და ბოლოს, არასოდეს აჩუქოთ კაცს ჩუსტები. მამაკაცები მას ქალის ფეხებზეც ვერ იტანენ. თუ მაინცდამაინც, წინდები შეუძინეთ, სხვა თუ არაფერი, შედარებით იაფი მაინც ღირს.

„ქენსკიე დელა“ №11



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „უწვრთნელი შვილის ყოლასა..."

გაკვეთილების დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა. შვილების მოლოდინში მშობლები მშვიდად ვსაუბრობდით. იქვე მოხუცი ქალი მზესუმზირას ყიდდა. ერთხანს გვაკვირდებოდა. შემდეგ მოგვიახლოვდა და გვკითხა:

– დედებო, იცნობთ თქვენს შვილებს?

უკმაყოფილება რომ შეგვატყო, გვითხრა:

– არ გეწყინოთ. თქვენი გაბრაზება კი არა, გაფრთხილება მინდა... ორი დიპლომი მაქვს. მთელი ცხოვრება მუშაობაში გავატარე. დღეს კი, მზესუმზირას ვყიდი. მათხოვრობას ისევ ეს ვარჩიე. სკოლის ეზოს შევაფარე თავი. კაპიკებს ვშოულობ, თან ბავშვების ჟრიამული გაყინულ გულს მითბობს, მაგრამ ხანდახან ისეთ რამეს შევესწრები...

ამას წინათ მეათეკლასელი ბიჭი გიჟივით დარბოდა, თან ყვიროდა, სად არის, სულ ერთია მაინც ვიპოვი და მოვკლავო. თანაკლასელ გოგონას ეძებდა თურმე, რომლისგანაც ვენერიული დაავადება გადასდებია. საკუთარ თვალებს და ყურებს ვერ დავუჯერე. შემდეგ მშობლები რომ დაერივნენ ერთმანეთს და აი, აქვე კინაღამ რომ დახოცეს ერთმანეთი, მაშინ კი დავიჯერე.

ცუდი აღზრდის ბრალია, შვილებო, ცუდი აღზრდის. სად იყო უწინ ამდენი ქურდი, კახპა და მამაძაღლი. „სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა უწვრთნელი შვილის ყოლასაო"... მწარე სინამდვილემ ათქმევინა დავით გურამიშვილს ეს სიტყვები.

ის ქალბატონი კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ზარი დაირეკა და ბავშვები გარეთ გამოეფინენ. საუბარი შეწყდა, მაგრამ მოხუცის ნაამბობმა მოსვენება დამიკარგა, სული ამიფორიაქა. ფიქრები ვეღარ მოვიშორე. სამწუხაროდ, მოხუცი სიმართლეს ამბობდა. პარადოქსებით, ძალადობით, უსამართლობით სავსე სამყაროში ვცხოვრობთ. ღვთის წყალობით, ჯერ კიდევ ვახერხებთ თავის გადარჩენას, მაგრამ როდემდე? უზნეობამ ლამის წაგვლეკოს. საგანგაშოდ გაიზარდა ვენერიულ დაავადებათა რიცხვი. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ამ საშიში დაავადებების „გაახალგაზრდავება". მომრავლდნენ პატარა მეძავები, მოუმწიფებელნი, გზასაცდენილები. იმდენად პატარები, საკუთარი ტრაგედიის გაცნობიერების უნარიც რომ არ შესწევთ.

ყოველდღიურად იზრდება მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულების რიცხვი.

თვლა აღარ აქვს ნარკომანებსაც. ნარკომანიის – „თეთრი სიკვდილის" სავალალო შედეგებზე საუბარს ამჯერად არ ვაპირებთ. ამასთან დაკავშირებით ერთს ვიტყვით მხოლოდ. მომხმარებელთა 80 პროცენტი ახალგაზრდობაა – ჩვენი მომავალი თაობა.

ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს ბიჭების „გათხოვება" და გოგონების მიერ „ცოლების მოყვანა".

კიდევ რა გითხრათ, „რით გაგახაროთ?!".

„ცუდი აღზრდის ბრალია", გაფრთხილებასავით ჩამესმის მოხუცის სიტყვები და აფორიაქებულ სულს უფრო მეტად მიმძიმებს.

სწორი აღზრდა უდიდესი სიბრძნეა. სიბრძნე კი, როგორც გოეთე ბრძანებს, ჭეშმარიტებაშია. როგორ მივიდეთ ამ ჭეშმარიტებამდე? ვიცნობთ ჩვენს შვილებს? სწორად ვზრდით მათ? მოდით, ერთად დავფიქრდეთ...

მკაცრი, ე.წ. „სპარტანული" აღზრდა, უხეში მოპყრობა, ბავშვებს შეშინებულ ან პირიქით, აგრესიულ ადამიანებად აყალიბებს. არანაკლები უბედურებისაკენ მივყევართ შვილის ბრმა სიყვარულს და განებივრებას. ფსიქოლოგების განმარტებით, სწორი აღზრდა ზომიერების, მოთმინების, ცოდნის, გამოცდილების და სიყვარულის სინთეზია. ფსიქოლოგების მიერ „გამოწერილი რეცეპტის" გამოყენება ზოგს არ შეუძლია, ზოგი პირიქით, საგულდაგულოდ ასრულებს მათ რჩევებს, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევს, რადგან ბავშვზე მორალის კითხვაზე მეტად, უფროსების პირადი მაგალითები, მათი ცხოვრების წესი მოქმედებს. ადამიანის ფსიქიკა უპირველესად ოჯახში და სკოლაში ყალიბდება. რა მაგალითებზე იზრდებიან პატარები ოჯახსა და სკოლაში? რატომ ღრმავდება დღითი-დღე უფსკრული ჩვენსა და ჩვენივე შვილებს შორის?

ისევ სპეციალისტების აზრს მოვიშველიებ:

ფსიქოლოგებმა მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად დაასკვნეს, რომ მშობლები და მასწავლებლები თავს არიდებენ იმ მიზეზების განხილვას, რამაც წარმოქმნა კონფლიქტი მათსა და ბავშვებს შორის, რადგან სიმართლე და აღიარება გამოაამჟღავნებს, რომ განხეთქილებაში „ლომის წილი" სწორედ მათ, უფროსებს მიუძღვით.

„შეცდომა ხვედრია ადამიანის", ამბობს ციცერონი, მაგრამ აღმზრდელს – დედას და მასწავლებელს შეცდომის უფლება არა აქვს.

არ მახსოვს ის დღე, როცა პირველად შევაღე სკოლის კარები. ალბათ, ძალიან ვღელავდი რაღაც დიდის, მნიშვნელოვანის მოლოდინში. ალბათ... ის კი კარგად მახსოვს, თანდათანობით როგორ იცრიცებოდა, პატარავდებოდა და ქრებოდა ის „რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი" ჩემს ცნობიერებაში. სკოლაში გატარებულმა წლებმა ჩემს სულში ღრმა კვალი დატოვა. დროდადრო თავს შემახსენებს მწარე მოგონებებიც... ერთი მოგონება ახლაც ამოტივტივდა გონებაში...

ჩვენს კლასში ერთი ჩვეულებრივი ბიჭი სწავლობდა, მამუკა ერქვა. კლასელებისგან განსხვავებით ცოტა მეტად ცელქი და მოუსვენარი. მის ბავშვურ ცელქობას, რატომღაც შეგნებულ ბოროტებად აღიქვამდნენ. დასჯითაც, ბუნებრივია, სხვაზე მეტად ისჯებოდა. „მაგისგან კაცი არ გამოვა", შეთანხმებულებივით იმეორებდნენ მასწავლებლები. შეძახილმა ხომ ხე გაახმო... ჩვენს თვალწინ ცელქი, ონავარი ბიჭი ბოროტმოქმედად ჩამოყალიბდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩხუბში მოკლეს, როგორც თქვეს, „მასავით გარეწრებმა".

ეს წლების წინათ მოხდა... დღეს? დღესაც, როცა იგივეს და, შეიძლება ითქვას, უარესსაც შევეჩეხე, შიშის გრძნობამ შემიპყრო. ვის ვანდობთ ჩვენი შვილების ბედს, რას ხედავენ და რა მაგალითებით იზრდებიან ჩვენი პატარები სკოლაში? რა ხდება სკოლის კედლებს მიღმა?

ერთი მშობლის ნაამბობი მახსენდება:

– ჩემი შვილი პრესტიჟულ სკოლაში შევიყვანე. კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია. კარგა ხანს მეც ფრთებშესხმული დავდიოდი. დღეს კი... ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემი შვილი აბობოქრებულ ზღვაში თვითონვე გადავაგდე. წარმომიდგენია, სხვა სკოლებში რა ხდება...

მართლაც, მოდით ვნახოთ, რა ხდება დღეს სკოლებში. მაშ ასე, რამდენიმე ეპიზოდი სკოლის ცხოვრებიდან უკომენტაროდ...

XXX

ტირის ბუთხუზა ბიჭი. წითელ ლოყებზე ღაპა-ღუპით ჩამოდის ცრემლები.

– აღარ წავალ სკოლაში. მასწავლებელი სულ მირტყამს და დებილს მეძახის. დღესაც დაფასთან გამომიყვანა. მაგალითი ვერ გამოვიყვანე. თავში ჩამარტყა და მიყვირა, შენს ადგილზე დაეგდე, გამოშტერებულოო. გიასაც შეეშალა, მაგრამ იმას არც დაარტყა და არც უყვირა.

XXX

– დათუნამ ფეხი მოიტეხა და მასწავლებელს ორი თვის განმავლობაში ერთხელაც არ უკითხავს მისი ამბავი...

XXX

– მეუღლე სულ მსაყვედურობდა, მამა ხარ და შენი შვილის დამრიგებელს არ იცნობო. ერთ დღესაც ბავშვის ამბის საკითხავად, უფრო სწორად, მასწავლებლის გასაცნობად სკოლაში წავედი. გავეცანი. ყურადღებით ამათვალ-ჩამათვალიერა. იცი, რა მითხრა? არ დაიჯერებ. ზამთრისათვის ლობიო მინდა და რამდენი კილოგრამის მოტანა შეგიძლიათ?

ისე დავიბენი, აღარ ვიცოდი, გამცინებოდა თუ [illegible] რაც შეეხება ლობიოს, ჩემმა მეუღლემ მართლაც მიუტანა, ბავშვს არ გადაეკიდოსო.

XXX

– ჩემს შვილს ამ სკოლაში რომ ესწავლა, დირექტორს ფული მივეცი.

– მე ერთი თეთრიც არ გადამიხდია. ზოგიერთს ფული გადასაყრელი აქვს, – გაღიზიანდა მეორე მშობელი.

– შვილისთვის დახარჯულ ფულს გადაყრილად არ ვთვლი, – ამაყად უპასუხა პირველმა.

დიალოგი, ბუნებრივია, მშვიდობიანად არ დამთავრებულა.

XXX

შესვენებაზე ბიჭები ჭიდაობდნენ. ჭიდაობა ჩხუბში გადაიზარდა. გამშველებელი არსად ჩანდა. გოგონებმა საკლასო ოთახში შეირბინეს და მასწავლებელს თხოვეს დახმარება.

– თქვენ ნუ ჩაერევით, დაუწყვეტიათ ერთმანეთი, – ცივად უპასუხა მასწავლებელმა.

ჩხუბისას ერთ-ერთმა ბიჭუნამ თავი კედელზე მიარტყა და ტვინის შერყევა მიიღო...

XXX

– რეზო და ორი თანაკლასელი ტუალეტში უფროსკლასელებმა ისე გალახეს, ცოცხლებმა ძლივს გამოაღწიეს. პატრონი არ ყავს ამ სკოლას. ფული რომ არის შესაგროვებელი, მაშინ ატყდება ერთი ამბავი.

XXX

– გეგეშიძე, ფული გაქვთ მოსატანი, – სიაში იყურება აქტიური მშობელი.

– ერთი კვირის წინათ ხომ მოგიტანეთ...

– ის კლასის ფონდის ფული იყო. ახლა სკოლის შემოწირულობას ვაგროვებთ და კიდევ...

– შემოწირულობა ნებაყოფილობითია, – თავს იმშვიდებს გეგეშიძის მშობელი.

– არ გამაცინოთ.

– მოგიტანთ. ახლა არა მაქვს.

– ბანკეტის და მასწავლებლის ფულიც დაამატეთ და ერთად მოიტანეთ, – მკაცრი, საქმიანი ტონით ამბობს აქტიური და სწრაფი ნაბიჯებით მიეშურება სხვა „ბედნიერი" მშობლისაკენ.

XXX

– სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელს ფული შევუგროვეთ. ნაწყენი დარჩა, უფრო მეტს ველოდიო.

XXX

ვფიქრობ, საკმარისია, მით უფრო „უკეთესი" ეპიზოდების გახსენება თქვენც შეგიძლიათ.

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ცუდის და უარყოფითის მეტს ვერ ვხედავდე. ვხედავ, ვაფასებ და მადლიერების გრძნობითაც ბევრჯერ აღვსილვარ. საბედნიეროდ, ჭეშმარიტი, კეთილშობილი, განათლებული, თავდადებული პედაგოგები ბევრია, უანგაროდ რომ გასცემენ სიყვარულს, ცოდნას და გამოცდილებას. მაგრამ, როგორც პლატონი ამბობს, ჭეშმარიტი გონიერი ადამიანი სჯის არა ცოდვათათვის, არამედ ცოდვისაგან გასაფრთხილებლად.

გამოგვეხმაურეთ. ერთად ვეძიოთ „ცოდვისაგან გასაფრთხილებელი" გზა. აკი ნათქვამია, ეძიებდე და ჰპოვებდეო...

**მარინე ნაკაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია კულინარია

## ბერძნული სამზარეულო

ბერძნული სამზარეულო მრავალფეროვანია. განსაკუთრებულ ყურადღებას ბერძნები კერძების საგულდაგულოდ გაფორმებას და გემოვნებით შეზავებას აქცევენ. ჭარბობს თევზის, ზღვის ბინადართა და ლოკოკინების კერძები.

ახლა ზაფხულია, სალათების სეზონი. გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს, რომლებიც უთუოდ მოგეწონებათ.

### სალათი „ძაძიკი“

4-5 ცალი კიტრი გავთალოთ, გავხეხოთ მსხვილ სახეხზე და მთელი ღამე დავტოვოთ საწურზე. 2 ჩაის ჭიქა მაწონი მთელი ღამე მოვათავსოთ მარლაში, კარგად რომ გაიწუროს. დილით მაწონი დავასხათ კიტრს, დავუმატოთ 2-3 კბილი გახეხილი ნიორი, ერთი პატარა კონა წვრილად დაჭრილი კამა, 1 სუფრის კოვზი ძმარი, 2 სუფრის კოვზი ზეთი (სასურველია სიმინდის ან ზეითუნის) და მარილი გემოვნებით.

### სალათი „ხტიპიტი“ (ყველის)

სახეხზე გავხეხოთ 600 გრამი ნებისმიერი ყველი, 2 ცალი მწარე წიწაკა შევწვათ ღუმელში, გავაცალოთ კანი, დავჭრათ ძალიან წვრილად ან გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში და ავურიოთ გახეხილ ყველში, დავასხათ 1 ყავის ჭიქა სიმინდის ან ზეითუნის ზეთი, შეიძლება მზესუმზირისაც. მაგიდაზე მიტანისას თეფშზე ისე მოვათავსოთ, რომ შუაგული ოდნავ ჩავაღრმავოთ, შიგ ჩავაწვეთოთ რამდენიმე წვეთი ზეთი და ჩავდოთ 2-3 მარცვალი ზეთისხილი. ამ სალათას განსაკუთრებით უხდება ცხელი თონის პური.

### სალათი „მელიძანო“ (ბადრიჯანი)

1 კილოგრამი ბადრიჯანი კანიანად შევწვათ ღუმელში. როცა კარგად შეიწვება, დავალაგოთ საწურზე. გაციების შემდეგ გავფცქვნათ. სამ საათს მაინც უნდა იყოს საწურზე, სიმწარე რომ გამოეცალოს. ავკეპოთ დანით. დავახეხოთ 300-400 გრამი ყველი, 1/3 ჩაის ჭიქა ზეთი, სასურველია ზეითუნის ან სიმინდის, დავასხათ 1 ჩაის ჭიქა კარგად გაწურული მაწონი ან 200 გრამი მაიონეზი, 1 სუფრის კოვზი ძმარი, მარილი, წიწაკა გემოვნებით, 3-4 კბილი დანაყილი ნიორი, 1 ჩაის კოვზი უცხო სუნელი, 1 ჩაის კოვზი ხმელი ქინძი, წვრილად დაჭრილი პატარა კონა ოხრახუში. სასურველია, ეს ყველაფერი საბოლოოდ ერთად აითქვიფოს მიქსერით ან კარგად აიზილოს ხის კოვზით.

### სალათი „როსიკი“

მოვხარშოთ 4 თავი საშუალო ზომის სტაფილო, 6-7 ცალი კარტოფილი და 2 ცალი კვერცხი. ყველაფერი ეს დავჭრათ წვრილად და მოვასხათ 300 გრამი მაიონეზი. მზა სალათი სასურველია მოგრძო ლანგარზე მოვათავსოთ. ირგვლივ შემოვულაგოთ ლამაზად დაჭრილი პამიდორი, ლიმონი და შუა-შუა ზეთისხილი. ასე გაფორმებული სალათი, გარდა იმისა რომ გემრიელია, მიმზიდველად და ლამაზად გამოიყურება.

ბერძნული ჟურნალიდან „გუსტო“
თარგმნა **მედეა შარიქაძემ**

ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში –
მ. კოსტავას ქ. № 14, V სართული.



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის ტელეფონი:
99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 1.07.99 წ.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.07.99 წ.
წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. ტირაჟი 700
შეკვეთა 788

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური იუმორი









მხატვარი ლასლო რებერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი 1 ლარი